



# დამოუკრძალვის მოქალაქეობა

სამოქალაქო გაცათლების  
საუნივერსიტეტო კურსი  
სტუდენტის წიგნი



# „დემოკრატია და მოქალაქეობა“

სამოქალაქო განათლების საუნივერსიტეტო კურსი

სტუდენტის ცივი

2013



International Foundation  
for Electoral Systems



## International Foundation for Electoral Systems

Democracy and Citizenship Course Handbook

© 2013 by IFES. All rights reserved.

**Permission Statement:** No part of this work may be reproduced in any form or by any means, electronic or mechanical, including photocopying, recording or by any information storage and retrieval system without the written permission of IFES. Requests for permission should include the following information:

- A description of the material for which permission to copy is desired.
- The purpose for which the copied material will be used and the manner in which it will be used.
- Your name, title, company or organization name, telephone number, fax number, e-mail address and mailing address.

Please send all requests for permission to:

International Foundation for Electoral Systems

1850 K Street, NW, Fifth Floor

Washington, D.C. 20006

E-mail: editor@ifes.org

Fax: 202.350.6701

This publication is made possible by the support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The contents are the sole responsibility of IFES and do not necessarily reflect the views of USAID or the United States Government.

ეს გამოცემა შედგა ამერიკელი ხალხის დახმარებით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. სტუდენტის წიგნი არის ერთპიროვნულად ავტორის პასუხისმგებლობით შედგენილი და არ გამოხატავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოსაზრებებს.

### გრივი პურუში

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ექსპერტი სამოქალაქო განათლების სფეროში

ISBN - 978-9941-0-5978-0

## **შინაარსი**

სტუდენტთა სამოქმედო პროექტზე მუშაობის გეგმა -----	04
შესავალი -----	05
სტუდენტთა სამოქმედო პროექტი -----	07
სტუდენტთა სამოქმედო პროექტების მაგალითები -----	08
საფეხური 1 და 2: პრობლემის გამოვლენა, კვლევა და განსაზღვრა -----	11
პრობლემების გამოვლენა -----	11
საკითხის შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპები -----	11
შერჩეული საკითხის შესწავლა -----	12
კვლევასთან დაკავშირებული რჩევები -----	13
ადამიანები, როგორც კვლევის წყარო -----	19
გამოკითხვისა და გასაუბრების გზით მოპოვებული მონაცემების ანალიზი -----	24
საფეხური 3 და 6: კურსით მიღებული ცოდნის გამოყენება პროექტის თემაზე მუშაობისას -----	27
საფეხური 3: პრობლემის ანალიზი მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობების პერსპექტივიდან -----	27
საფეხური 4: პრობლემის ანალიზი ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან -----	28
საფეხური 5: პრობლემის ანალიზი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პერსპექტივიდან -----	29
საფეხური 6: პრობლემის ანალიზი ცალკეული მოქალაქეების ჩართულობის პერსპექტივიდან -----	30
საფეხური 7: სამოქმედო გეგმის შემუშავება -----	33
საფეხური 8 და 9: ჯგუფური ნაშრომისა და პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა -----	36
საფეხური 10: მიღებული გამოცდილების შეფასება -----	38
დანართი -----	39

## სტუდენტთა სამოქადალო პროცესზე მუშაობის გეგმა

**კვირა 1 - საფეხური 1**

საზოგადოებრივი პრობლემების განხილვა

**კვირა 2 - საფეხური 1 და 2**

საზოგადოებრივი პრობლემების განხილვა, წინასწარი შესწავლა

**კვირა 3 - საფეხური 1 და 2**

პრობლემის შერჩევა და კვლევის დაწყება

**კვირა 4 - საფეხური 1 და 2**

პრობლემის კვლევა

**კვირა 5 - საფეხური 3**

პრობლემის ანალიზი: მთავრობის პასუხიმგებლობა და მისი შესაძლო ქმედებები

**კვირა 6 და 7 - პრობლემის კვლევა**

**კვირა 8 - საფეხური 4**

პრობლემის ანალიზი: ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხები და მათი გადაჭრის გზები

**კვირა 9 - პრობლემის კვლევა**

**კვირა 10 - საფეხური 5**

პრობლემის ანალიზი: სამოქალაქო საზოგადოების როლი ან მის მიერ შესაძლო ქმედებები აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად

**კვირა 11 - კვლევა**

**კვირა 12 - საფეხური 6**

პრობლემის ანალიზი: ქმედებები, რომელთა განხორციელება შეუძლიათ ცალკეულ მოქალაქეებს რაიმეს შესაცვლელად

**კვირა 13 - საფეხური 7**

სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება

**კვირა 14 და 15 - საფეხური 8, 9 და 10**

სტუდენტთა სამოქმედო პროექტის ნაშრომის მომზადება, პრეზენტაციის ჩატარება, თვითშეფასებებისა და უკუკავშირის განხორციელება

“დემოკრატია მაშინაა ეფექტური, თუ ხალხი მას გაითავისებს“  
ბილ მოიერსი, 2007 წლის 22 იანვარი, ამერიკელი ჟურნალისტი  
და თეთრი სახლის ყოფილი პრეს-მდივანი

## შესავალი

რატომ არის მნიშვნელოვანი ის, რომ ხალხს დემოკრატია „გათავისებული პქონდეს“ და როგორ შეიძლება ამის მიღწევა? კურსი „მოქალაქეობა და დემოკრატია“ დაგეხმარებათ, პასუხი გასცემ კითხვის პირველ ნაწილს. კერძოდ, საკითხავი მასალებისა და დავალებების საშუალებით თქვენ მიიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა პირობები უწყობს ხელს დემოკრატიის განვითარებას და რა როლი ეკისრებათ მოქალაქეებს ჯანსაღი დემოკრატიის შენარჩუნებაში. დემოკრატიული სისტემები საშუალებას აძლევთ მოქალაქეებს გავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მასში მონაწილეობითა და ხელისუფლებისთვის საკუთარი პოზიციის გაზიარების საშუალებით. აღნიშნული არა მხოლოდ დემოკრატიის დადებით მხარეს წარმოადგენს, არამედ მისი აუცილებელი დამახასიათებელი თვისებაცაა. როდესაც მოქალაქეები ვერ ახდენენ თავიანთი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლს, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ხელისუფლების ლიდერებმა მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ იმოქმედონ, რაც დროთა განმავლობაში შესაძლოა ადამიანის უფლებების დარღვევაშიც გადაიზარდოს. აშკარაა, რომ აქტიური მოქალაქეობის არსებობაში დაინტერესებული არიან როგორც ცალკეული პიროვნებები, ასევე საზოგადოება.

რა უნდა მოიმოქმედონ მოქალაქეებმა საკუთარი უფლებებისა და ინტერესების, ზოგადად, დემოკრატიული სისტემის ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით? არაერთი მეცნიერი იზიარებს იმ აზრს, რომ მოქალაქეებმა პირველ რიგში სისტემა და თავიანთი უფლებები უნდა იცოდნენ, რაშიც ეს სახელმძღვანელო და საკლასო აქტივობები დაგეხმარებათ. ამავდროულად, ეფექტური დემოკრატიული მონაწილეობისათვის მხოლოდ ცოდნა არ არის საკმარისი, საამისოდ გარკვეულ უნარ-ჩვევებსაც უნდა ფლობდეთ, რომელთა ნაწილი თქვენს სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი. ისინი, ასევე შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

### დემოკრატიულ მოქალაქეობასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევები

1. კრიტიკული აზროვნება
2. ინფორმირებული, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება
3. ინფორმაციის ანალიზი
4. ინფორმაციის შეფასება
5. საკითხების განხილვა და სხვადასხვა მოსაზრებების გათვალისწინება
6. ტელეცენტრობის, მოსაზრებისა და კონტენტის გათვალისწინება, წყაროს საციონის შეფასება
7. მიმღებარე მოვლენებისა და საკითხების შესწავლა
8. ინფორმაციის საფუძველზე კითხვების ფორმულირება
9. ინფორმაციის მოსაზრებლად ეფექტური სტრატეგიების გამოყენება
10. ცერიტოგრამი, ზეპირ და ცხრილის სახით ინფორმაციის შევერება
11. მიზნის მისაღებად სხვაგთან თანამშრომლობა
12. ლიდერობა
13. არობლების გადაწყვეტა
14. ეფექტური და რაციონალური არგუმენტის მოყვანა

როგორ ხდება ზემოთ ჩამოთვლილი უნარ-ჩვევების განვითარება? ყველა სხვა დანარჩენი უნარ-ჩვევების მსგავსად, მათი განვითარება ხდება სწავლებისა და პრაქტიკაში გამოყენების პროცესში. სწორედ ეს წარმოადგენს სტუდენტთა სამოქმედო პროექტის უმთავრეს მიზანს. წინამდებარე სახელმძღვანელო კი ამ პროცესში დაგეხმარებათ. სახელმძღვანელოში მოყვანილი აქტივობების ნაწილი ხელს უწყობს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელიც კვლევის ჩასატარებლად, პრობლემის გადასაჭრელად თუ ეფექტური არგუმენტის შესამუშავებლად დაგჭირდებათ. დამატებით, საშუალება გექნებათ შეიძინოთ ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც დაგეხმარებათ ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან და ლიდერებთან ურთიერთობაში, ხელმძღვანელის როლის მორგებაში, საკუთარი მიზნებისა და ამოცანების ორგანიზებასა და განხორციელებაში. მიღებული გამოცდილებით შეძლებთ, სიღრმისეულად გაიაზროთ საზოგადოებაში თქვენი, როგორც მოქალაქის როლი და განავითაროთ სასარგებლო უნარ-ჩვევები.

## სტუდენტთა სამოქადო პროექტი

სტუდენტთა სამოქადო პროექტი საშუალებას მოგცემთ, ჩაერთოთ თემისა თუ საზოგადოები-სათვის აქტუალური პრობლემის კრიტიკულ შეფასებაში. დასკვნების გამოტანამდე და სამოქ-მედო გეგმის შემუშავებამდე მოცემული პრობლემა სიღრმისეულად უნდა შეისწავლოთ, რაც გულისხმობს გამომწვევი მიზეზებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების, აგრეთვე განსხვავებული მოსაზრებების შესწავლას. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს, რაც პირ-ველ რიგში გულისხმობს პრობლემის ანალიზს ოთხ სხვადასხვა ჭრილში: 1) მთავრობის პასუხის-მგებლობა და ის კონკრეტული ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც შეუძლია მთავრობას მოცემული პრობლემის გადასაჭრელად; 2) ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევები და მათზე რე-აგირების საშუალებები; 3) რა როლს თამაშობს და რა როლი შეუძლია ითამაშოს სამოქალაქო საზოგადოებამ პრობლემის გადაჭრაში; 4) რა წვლილის შეტანა შეუძლიათ პრობლემის მოგვარე-ბაში ცალკეულ მოქალაქეებს.

თქვენს მიერ პროექტის განხორციელების პროცესში გასავლელი საფეხურებია:

საფეხური 1: საზოგადოებრივი პრობლემის გამოვლენა და კვლევის განხორციელება

საფეხური 2: პრობლემის ან პრობლემების განსაზღვრა

საფეხური 3: პრობლემის ანალიზი მთავრობის მიერ განხორციელებული  
საქმიანობების პერსპექტივიდან

საფეხური 4: პრობლემის ანალიზი ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან

საფეხური 5: პრობლემის ანალიზი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის  
პერსპექტივიდან

საფეხური 6: პრობლემის ანალიზი ცალკეული მოქალაქეების ჩართულობის  
პერსპექტივიდან

საფეხური 7: სამოქმედო გეგმის ფორმულირება, რომელიც პრობლემის გადაჭრის  
გზად სახავს სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულ ერთ ან მეტ  
თემას

საფეხური 8: ჯგუფური ნაშრომისა და პრეზენტაციის მომზადება, რომელიც  
განსაზღვრავს პრობლემას, აღწერს/ასაბუთებს საქმიანობისთვის  
შერჩეულ სამოქმედო გეგმას.

საფეხური 9: პრეზენტაციის გამართვა საკლასო ოთახში და კითხვებზე პასუხის  
გაცემა

საფეხური 10: თითოეული მონაწილის მიერ პროექტის ფარგლებში მიღებული  
გამოცდილების წერილობითი აღწერა

წინამდებარე სახელმძღვანელო გთავაზობთ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯის დეტალურ განმარტებას, აგრეთვე პროექტის თითოეული ეტაპის განსახორციელებლად საჭირო ინფორმა-ციასა და რესურსებს. სანამ საკუთარი პროექტის განხორციელებას შეუდგებოდეთ, გაეცანით საქართველოში სხვა უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციას.

## **სტუდენტთა სამოქადო პროექტების მაგალითები**

2011 წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დანერგვის შემდეგ, სასწავლო კურსი „დემოკრატია და მოქალაქეობა“ ათასობით სტუდენტებმა გაიარა. ამასთანავე, განხორციელდა არაერთი სამოქმედო პროექტი, რომელთა ფარგლებში სტუდენტებმა შეარჩიეს როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობისთვის აქტუალური საკითხები. მაგალითად: არასრულწლოვანთათვის ალკოჰოლის მიყიდვა; მოქალაქეების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ღირებულების გადახდის პრობლემა; სურსათის ეტიკეტირების პრაქტიკის გაუმჯობესება მომხმარებელთა უსაფრთხოების დასაცავად; ბუნებრივი რესურსების კონსერვაცია; სექსუალური უმცირესობების, ტრეფიკინგისა და პროსტიტუციის მსხვერპლთა დაცვა; ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის, დაავადებული მოზარდებისათვის და იზოლირებული ხანდაზმული მოქალაქეებისათვის გაწეული დახმარებისა და შექმნილი პირობების გაუმჯობესება.

სტუდენტთა სამოქმედო პროექტი ხორციელდება ნაბიჯ-ნაბიჯ, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტებმა არჩეული თემები სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილონ და შესაბამისად დასახონ პრობლემის გადაჭრის საბოლოო გზა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტების უმრავლესობის საბოლოო სამოქმედო გეგმები სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულ ერთზე მეტ თემას აერთიანებენ, მეტი თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში წინ წამოვწიეთ ერთი ძირითადი თემა.

**თემა 1 - საჯარო ადმინისტრაციის სისტემები: მთავრობის პასუხისმგებლობა და მის მიერ შესაძლო განხორციელებული საქმიანობები**

### **შუქნიშნები**

სტუდენტთა ჯგუფმა გაარკვია, რომ მნიშვნელოვან ადგილებში შუქნიშნების ნაკლებობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა. სტუდენტთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ შუქნიშნების ნაკლებობა ბევრი უპედური შემთხვევის მიზეზი ხდება, აფერხებს ფეხით მოსიარულებების მოძრაობას და რისკის ქვეშ აყენებს მათ უსაფრთხოებას. სტუდენტებმა დაადგინეს, რომ პრობლემის მოგვარება უნდა მოხდეს ადგილობრივ მმართველობასთან თანამშრომლობით.

შუქნიშნების აუცილებლობაში ადგილობრივი მთავრობის დასარწმუნებლად სტუდენტებმა წარმოადგინეს სტატისტიკური ინფორმაცია და იმ პრობლემების მაგალითები, რასაც შუქნიშნების ნაკლებობა იწვევს. სტუდენტებმა აგრეთვე წარმოადგინეს იმ ადგილების დეტალური გეგმა რუქებითა და ნახაზებით, სადაც საჭიროა შუქნიშნების დამონტაჟება. იმის საჩვენებლად, რომ საზოგადოება მუნიციპალიტეტის მიერ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოელის, სტუდენტებმა ადგილობრივ ხელისუფლებას წარუდგინეს მოსახლეობის მიერ ხელმოწერილი პეტიცია. სტუდენტების მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად, ხელისუფლების წარმომადგენლები დარწმუნდნენ შუქნიშნების პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭირო ზომების მიღების აუცილებლობაში. ამჟამად შუქნიშნები დამონტაჟებულია სტუდენტების მიერ მითითებულ ადგილებში.

**თემა 2 - ადამიანის უფლებები: ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევები და მათზე რეაგირება**

### **თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებაზე**

სტუდენტებმა დაადგინეს, რომ საქართველოში გარკვეული კატეგორიის პირებს განათლებაზე თანაბრად არ მიუწვდებათ ხელი. აღნიშნულ თემაზე ორი პროექტი განხორციელდა, რომელ-

იც დაეთმო ოპლებისა და უსინათლოებისათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში სტუდენტებმა გამოიკვლიერ აჭარის რეგიონში მდებარე თავშესაფარში მცხოვრები უდედმამო ბავშვების განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები. სტუდენტები ხელმძღვანელობდნენ იმ პრინციპით, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, არაერთ უდედმამო მოზარდს განათლების თანაბარ პირობებში მიღების შესაძლებლობა არ ჰქონდა. სტუდენტებმა პროექტი განახორციელეს განათლების სამინისტროსთან, საბავშვო ფსიქოლოგთან და თავშესაფრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. მათ დაადგინეს, რომ განათლების თანაბარი პირობების შექმნას ხელს შეუწყობდა ერთ-ერთ თავშესაფარში ბიბლიოთეკის მოწყობა. საჭირო ფინანსური სახსრების მოძიების მიზნით სტუდენტებმა თავიანთ უნივერსიტეტში წარმატებით გამართეს საქველმოქმედო კონცერტი და ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნები შეიძინეს. ამასთან, თავშესაფარში მცხოვრებ მოზარდებს არაერთი სტუდენტი სწავლაში პირადად ეხმარებოდა, რითაც ხელს უწყობდა ოპოლთათვის განათლების არსებული პირობების გაუმჯობესებას.

ერთ-ერთ უნივერსიტეტში კი სტუდენტები დაინტერესდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა განათლების უფლებით. სტუდენტთა ერთ-ერთმა ჯგუფმა დაადგინა, რომ ხშირად, აუდიო წიგნების ნაკლებობის გამო, უსინათლოებს განათლების თანაბარ პირობებზე არ მიუწვდებოდათ ხელი. სტუდენტებმა გადაწყვიტეს, უსინათლოებისთვის დაემზადებინათ „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ სახელმძღვანელოს აუდიო ჩანაწერი, რათა უსინათლო სტუდენტებს განათლების თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდათ. სტუდენტებმა გააცნობიერეს, რომ მეტი აუდიო ჩანაწერის დასამზადებლად დამატებითი ფულადი რესურსები იყო საჭირო. უნივერსიტეტთან თანამშრომლობის შედეგად მათ წარადგინეს საგრანტო განაცხადი „სოროსის ფონდში“ და მიიღეს დაფინანსება საჭირო მოწყობილობის შესაძენად. სტუდენტებმა თავად გააკეთეს სხვადასხვა საგანმანათლებლო მასალის ჩანაწერები, რითაც უსინათლოებს საშუალება მისცეს, ესარგებლათ განათლების უფლებით.

### **თემა 3 - სამოქალაქო საზოგადოება: რა როლს თამაშობს და რა როლი შეუძლია ითამაშოს სამოქალაქო საზოგადოებამ პრობლემის გადაჭრაში**

#### **სისხლის დონაცია**

სტუდენტთა ერთ-ერთმა ჯგუფმა საქართველოში სისხლის დონაციის პრობლემის შესწავლა გადაწყვიტა და დაადგინა, რომ სისხლის დონაციაში საქართველოს მოქალაქეთა უმნიშვნელო რაოდენობა (3%) იღებს მონაწილეობას, რაც არასაკმარისია არსებული სამედიცინო მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად. სტუდენტებმა ასევე გაარკვიეს, რომ მოქალაქეთა აქტიურობის ძირითადი დამაბრკოლებელი გარემოება სისხლის დონაციის მიმართულებით საზოგადოებაში ცნობიერების ნაკლებობა და დეზინფორმაციაა. სტუდენტებმა გამოავლინეს ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უკვე მუშაობენ აღნიშნულ პრობლემის მოგვარებაზე და მათთან თანამშრომლობით განახორციელეს საინფორმაციო კამპანია. აგრეთვე, კოორდინირება გაუწიეს სისხლის ჩაბარების აქციებს. შედეგად, სისხლის უანგარო დონაციაში სტუდენტების აქტიურობის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სტუდენტებმა გააცნობიერეს, რომ სისხლის დონაციის პრობლემა ქვეყანაში კვლავ აქტუალური იქნებოდა, ამიტომ ნაწილმა გადაწყვიტა, ჩამოეყალიბებინა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საზოგადოების ინფორმირება სისხლის დონაციის საკითხებზე და მოხალისე დონორების რაოდენობის გაზრდა. ამასთან, სტუდენტების მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ დასაცავად სისხლის დონაციასთან დაკავშირებით შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს უწევს ლობირებას საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

**თემა 4 - დემოკრატია და მოქალაქეთა მონაწილეობა: ცალკეული მოქალაქეების წვლილი ცვლილების განხორციელებაში**

### **ინფორმაციის გაზიარება**

ბოლო მაგალითიდან ჩანს, თუ რა როლი შეუძლიათ ითამაშონ მოქალაქეებმა ადგილობრივ საზოგადოებაში დადებითი ცვლილებების მოსახდენად. სტუდენტების ერთ-ერთმა ჯგუფმა გამოავლინა, რომ არ არსებობს საგანმანათლებლო და პროფესიული შესაძლებლობების (მაგ. გაცვლითი პროგრამების) შესახებ ახალგაზრდების ინფორმირების საიმედო და ფართოდ გავრცელებული მეთოდი. პრობლემის გადაჭრის მიზნით, სტუდენტებმა შექმნეს გვერდი Facebook-ზე, სახელწოდებით „იყავი აქტიური“. ვებგვერდის ადმინისტრირებას ახდენენ თავად სტუდენტები და რეგულარულად აახლებენ მასზე განთავსებულ ინფორმაციას. ამასთან, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროებებისა და ხარვეზების გამოსავლენად, ისინი აწარმოებენ მომხმარებელთა გამოკითხვას. ასეთი ძალისხმევის შედეგად სტუდენტებმა შეძლეს არსებული საინფორმაციო ვაკუუმის ამოვსება, ამასთან გამოკითხვების დროს მათი თანატოლების მიერ გამოთქმული კმაყოფილება ადასტურებს, რომ აღნიშნული მომსახურება მეტად ეფექტურია.

როგორც ხედავთ, ქართველი სტუდენტები ადგილობრივი და საზოგადო პრობლემების გამოვლენასა და გადაჭრას საკმაოდ აქტიურად და ეფექტურად მიუდგნენ. ოთხივე თემის სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვისა და ანალიზის საფუძველზე მათ შეძლეს ყველაზე ოპტიმალური სამოქმედო გეგმების დასახვა. სასწავლო კურსით და მის ფარგლებში პრობლემის დეტალური კვლევის საშუალებით შეძენილი ცოდნის გამოყენებით, ქართველმა სტუდენტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საკუთარ უნივერსიტეტებში, სოფლებში, ქალაქებსა და ზოგადად, საქართველოში პოზიტიური ცვლილების განხორციელების საქმეში.

## საზოგადო 1 და 2: პრობლემის გამოვლენა, კვლევა და განსაზღვრა

### პრობლემის გამოვლენა

პირველ რიგში იმსჯელეთ და მოახდინეთ იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომელიც თქვენ და თქვენს თანატოლებს ადგილობრივ საზოგადოებაში, რეგიონში თუ ზოგადად, საქართველოს მასშტაბით პრობლემურად მიგარჩინათ. გამოვლენილი საკითხები უნდა იყოს მნიშვნელოვანი, ბევრი ადამიანისათვის აქტუალური და მისი მოვარება ერთზე მეტი პაროვნების ძალისხმევას საჭიროებდეს. საკითხის გამოვლენამდე რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადადგათ. აღნიშნულ პროცესში მეგზურობას გაგინევთ ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია. გონიერივი იერიშისა და კონკრეტული პრობლემის შერჩევის პროცესში ასევე დაგეხმარებათ ცხრილი „თემის შერჩევა სტუდენტთა სამოქმედო პროექტისთვის“. (იხ. ცხრილი №1. გვერდი 39).

### საკითხის შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპები

მიზანშეწონილი არ არის ისეთი პრობლემების შერჩევა, რომელიც პირადი ხასიათის პრობლემას წარმოადგენს ან მხოლოდ რამდენიმე ადამიანისთვისაა აქტუალური. ასევე მიზანშეწონილი არ არის ისეთი საკითხების შერჩევა, რომელიც რამდენიმე ადამიანის თანამშრომლობით ადვილად მოვარდება, როგორიცაა მაგალითად, უთანხმოება ორ პიროვნებას შორის სტუმრების მანქანების პარკირებასთან დაკავშირებით. ასეთი საკითხების მოვარება, როგორც წესი, ხდება პიროვნებებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. თუმცა, თუ ეს პრობლემა, ფართომასშტაბიანია და არაერთ მაცხოვრებელს შორის უთანხმოების საგანს წარმოადგენს (მაგ. პარკირების არასაკემარისი სივრცის გამო მანქანებზე ხშირად ხორციელდება ვანდალიზმი), იგი საჭიროებს ადგილობრივი მოსახლეობის ერთობლივ ძალისხმევას. კერძოდ, მათ ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა მიმართონ პარკინგისათვის გამოყოფილი სივრცის გაზრდის ან საპატრული პოლიციის მიერ ტერიტორიის მუდმივი კონტროლის შესახებ თხოვნით. მიზნის მისაღწევად საჭიროა პრობლემის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადგილობრივი მოსახლეობის სრული მხარდაჭერის მოპოვება. სწორედ ასე ხდება ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე აქტუალური პრობლემის ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრა. დემოკრატია მოსახლეობას საშუალებას აძლევს, თავიანთი უფლებების განხორციელებით მოახდინონ, როგორც საკუთარი, ისე სხვისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ეს იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიულ სისტემაში მოქალაქეობა არა პასიური, არამედ აქტიური ცნებაა.

გონიერივი იერიშისას მნიშვნელოვანია მოახდინოთ გამოვლენილი პრობლემების შეფასება. აღნიშნულ ეტაპზე უნდა შეადგინოთ შესაძლო პრობლემების სია, საიდანაც შემდეგ ამოარჩევთ თემას თქვენი სამოქმედო პროექტისთვის. ის, რომ თქვენ კონცენტრირებულები იქნებით სიის შედგენაზე და არა პირდაპირ თემის შერჩევაზე, საშუალებას მოგცემთ ყურადღება მიაქციოთ ისეთ საკითხებს, რომელთაც სხვა შემთხვევაში არ გაითვალისწინებდით. თავდაპირველად პრობლემების გამოვლენა შესაძლოა რთულადაც მოგეჩვენოთ. ამიტომ, მიზანშეწონილია ჯერ გაესაუბროთ თქვენს მეგობრებს, ოჯახის წევრებს, საზოგადოების წარმომადგენლებს და ჰკითხოთ, რა მიაჩნიათ მათ საზოგადოებისათვის აქტუალურ პრობლემებად. აგრეთვე, შეგიძლიათ გაეცნოთ ახალ ამბებს როგორც სამაუწყებლო ისე ბეჭდური მედიის საშუალებით, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა აქტუალური საკითხები. პრობლემების გამოვლენაში წინამდებარე სახელმძღვანელოც დაგეხმარებათ. სახელმძღვანელოს ქვეთავებში განხილულ თემებს შორის შესაძლოა თქვენთვის საინტერესო საკითხებსაც მიაგნოთ.

მნიშვნელოვანია, რომ სავარაუდო პრობლემების გამოვლენასთან ერთად მოახდინოთ მათი შესწავლაც. დასვით შესაბამისი კითხვები და ეცადეთ, მიიღოთ მაქსიმალურად დეტალური ინფორმაცია მოსახლეობისთვის აქტუალური თემების შესახებ, რაც სამოქმედო პროექტისთვის კონკრეტული პრობლემის შერჩევას გაგიადვილებთ. მას შემდეგ, რაც შეადგენთ პოტენციური

საკითხების სიას, ჯერ ყურადღებით მიმოიხილეთ რა იცით მათ შესახებ და მოუსმინეთ სხვებს, თუ რა იციან მათ აღნიშნული საკითხების შესახებ. თქვენს მიერ იდენტიფიცირებულ თემებს შორის აარჩიეთ ერთ-ერთი მათგანი. თემის არჩევის შემდეგ შეადგინეთ ჯგუფი, რომელიც მოცემული თემით დაინტერესებულ სტუდენტებს გააერთიანებს.

## შერჩეული საკითხის შესწავლა

დადგა დრო, საფუძვლიანად გამოიკვლიოთ თქვენს მიერ არჩეული საკითხი, რაც შეგიქმნით წარმოდგენას არსებული პრობლემისა თუ პრობლემების შესახებ. ამის ერთადერთი გზაა კვლევის ჩატარება. პროექტის მოცემული ეტაპის ფარგლებში თქვენს მიერ შერჩეული საკითხი მაქსიმალურად უნდა შეისწავლოთ, მათ შორის სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული საკითხი სხვადასხვა პერსპექტივიდან ანალიზის გზით შეისწავლოთ. ნუ იქნებით ზედმეტად დარწმუნებულები იმასთან დაკავშირებით, თუ რაში მდგომარეობს პრობლემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა რეალური პრობლემა გამოგეპაროთ. გაეცანით ქვემოთ მოყვანილ მაგალითს.

## პრობლემის არასწორად იდენტიფიცირების შემთხვევა

აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთი ქალაქის მაცხოვრებელმა სტუდენტებმა სამოქმედო პროექტის თემად არასრულწლოვანი კანონდამრღვევები აირჩიეს. ისინი ფლობდნენ გარკვეულ ინფორმაციას კონკრეტული კანონდამრღვევი მოზარდების შესახებ. შესაბამისი კვლევის ჩატარების შემდეგ სტუდენტებმა გაარკვის, რომ აშშ-ში მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენა ძირითადად ხდება შუადლის 3 სთ-დან 6 სთ-მდე პერიოდში. ამასთან, გამოკითხული კანონდამრღვევი მოზარდების ნაწილმა მიზეზად დაასახელა დროის გაყვანისა და გართობის სურვილი. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სტუდენტებმა დაასკვნეს რომ პრობლემა მდგომარეობს კლასგარეშე აქტივობების ნაკლებობაში. კერძოდ, გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოზარდები უფროსების ზედამხედველობას აღარ ექვემდებარებიან. შესაბამისად, მათ წარმოადგინეს პრობლემის გადაჭრის გზა, რომელიც კლასგარეშე პროგრამებისა და აქტივობების დასაფინანსებლად სახსრების მოძიებას გულისხმობდა. მათ სკოლებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას ასეთი პროგრამებისათვის სახსრებისა და სივრცის გამოყოფაც სთხოვეს.

სტუდენტებმა შეისწავლეს არასრულწლოვანთა დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემები და შეიმუშავეს შესაბამისი სამოქმედო გეგმა საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში ამ პრობლემების გადასაჭრელად. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს კი გაირკვა, რომ კლასგარეშე პროგრამები უკვე არსებობდა. როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სტუდენტები? ნუთუ, მათ მიერ განეულმა ძალისხმევამ ამაღ ჩაიარა? რა შეცდომა დაუშვეს? საქმე იმაშია, რომ სტუდენტებმა პრობლემის არასწორი იდენტიფიცირება მოახდინეს, რაც იმის შედეგი იყო, რომ ძიების პროცესში ნაადრევი დასკვნები გააკეთეს.

საბედნიეროდ, სტუდენტებს მტკიცედ ჰქონდათ განზრახული ემუშავათ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრაზე. მათ პრობლემის საფუძვლიანად შესწავლა გადაწყვიტეს და ჩატარეს გამოკითხვა იმის დასადგენად, თუ რამდენად ფლობდნენ მოზარდები ინფორმაციას კლასგარეშე პროგრამებისა და აქტივობების შესახებ. სტუდენტები ასევე შეეცადნენ დაედგინათ, თუ რატომ არ მონაწილეობდნენ კლასგარეშე პროგრამებსა და აქტივობებში ის მოზარდები, რომლებიც მათ შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ. გამოკითხვის შედეგების თანახმად, მოზარდთა უმრავლესობამ პროგრამების შესახებ არაფერი იცოდა, ხოლო მათ, ვისაც გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა, შესაბამის დაწესებულებამდე მისასვლელად გადაადგილების საშუალებაზე არ მიუწვდებოდათ ხელი. შესაბამისად, გამოვლინდა ორი სახის პრობლემა: ინფორმაციის ნაკლებობა და დაწესე-

ბულებამდე გადაადგილების პრობლემა. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, სკოლებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით სტუდენტებმა მოახდინეს კლასგარეშე პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ხოლო დაწესებულებებამ-დე მისასვლელად დაბალფასიანი ავტობუსის დანიშვნის რეკომენდაცია წარმოადგინეს.

ზემოაღნიშნულ მაგალითიდან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პრობლემის განსაზღვრამ-დე მაქსიმალურად ამომწურავად შეისწავლოთ არჩეული საკითხი. არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოთ მოქნილი მიზანმა და გახსოვდეთ, რომ თემის თანდათანობით სიღრმისეულად შესწავლასთან ერთად, შეიძლება მოგიწიოთ პრობლემის ხელახლა განსაზღვრა.

## კვლევასთან დაკავშირებული რჩევები

კვლევის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მიღება, რაც გულისხმობს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოძიებას. შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც წერილობითი და ოფიციალური წყაროები მაგალითად, კანონები და სხვა სამთავრობო დოკუმენტები, ისე ექსპერტთა სამეცნიერო ნაშრომები, უურნალისტების მიერ მომზადებული მასალები, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან მიღებული ინფორმაცია თუ ცალკეულ პირთა მოსაზრებები, და არა მხოლოდ. ხშირად, დამატებითი რესურსები კვლევაზე მუშაობის პროცესშიც იჩენს თავს. თავდაპირველად განსაზღვრეთ და მოიფიქრეთ მაქსიმალურად ბევრი პოტენციური წყარო, რომელიც თქვენ და თქვენს ჯგუფს საშუალებას მოგცემთ პრობლემის შესახებ მეტი ინფორმაცია მიიღოთ და გაეცნოთ განსხვავებულ პერსპექტივებს. პოტენციური წყაროები თქვენი ჯგუფის წევრებს შორის გაანაწილეთ გამოსაკვლევად. რესურსების განსაზღვრაში დაგეხმარებათ შესაბამისი ცხრილი „რესურსების იდენტიფიცირება“. (იხ. ცხრილი №2. გვერდი 40).

## საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა

საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს საჯარო დაწესებულებებიდან გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია. საჯარო უწყებებმა პასუხი შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში უნდა წარმოადგინონ, საპოლოო ვადა კი წერილის რეგისტრაციის თარიღიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღით განისაზღვრება.

**რა არის საჯარო ინფორმაცია?** საჯარო ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია, რომლის გაცემაც უნდა მოხდეს მოთხოვნის შემთხვევაში. საჯარო ინფორმაციად ითვლება, მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მშენებლობისა თუ სხვა საჯარო ღონისძიების (კონცერტის) დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის რაოდენობა. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია მიჩნეულია პირად ინფორმაციად, კომერციულ ან სახელმწიფო საიდუმლოებად. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით უნდა მოამზადოთ წერილი შესაბამისი დაწესებულების სახელზე (სადაც დაცულია თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია). დაწესებულების სახელი განათავსეთ წერილის კიდეში, შემდეგ მიუთითოთ თქვენი სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია და ჩამოაყლიბეთ თქვენი შეკითხვა. წერილის ბოლოს კი ხელი მოაწერეთ და დაათარიღეთ. საჯარო ინფორმაციის შესახებ განცხადების წარდგენა უფასოა.

მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მოქალაქეს უარის შესახებ განცხადების დარეგისტრირებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში შეატყობინოს. საჯარო დაწესებულების პასუხი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას უარის გასაჩივრების წესის შესახებ.

## **ბეჭდური წყაროების შესწავლა**

კვლევის ჩატარებისას კრიტიკულად შეაფასეთ თქვენს ხელთ არსებული რესურსები და განსაჯეთ, თუ რამდენად გამოგადგებათ ესა თუ ის წყარო თქვენს მიერ წარმოებულ კვლევაში. ზოგადად, მასალების შესწავლისას გაითვალისწინეთ შემდეგი ელემენტები:

- რელევანტურობა
- ავტორი
- სიზუსტე
- ტენდენციურობა
- ვადები

## **რელევანტურობა**

პირველ რიგში, უნდა დაადგინოთ თუ რამდენად რელევანტურია წყარო. დღესდღეობით დიდი მოცულობის ინფორმაცია ხელმისაწვდომი. Google-ის საშუალებით ინფორმაციის ათასობით წყაროს მოძიება შეგიძლიათ. როგორ მოვახდინოთ კონცენტრაცია მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ისე, რომ ჩვენი ყურადღება არ გაფანტონ ინფორმაციის არარელევანტურმა წყაროებმა? საამისოდ ძიების პროცესში, იქნება ეს ინტერეტი თუ ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზა, კონკრეტული საძიებელი სიტყვები უნდა გამოიყენოთ, ხოლო მიღებული შედეგებიდან კვლევისთვის საინტერესო ინფორმაცია დამატებითი საძიებელი სიტყვების დახმარებით უნდა ამოარჩიოთ. განვიხილოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითი: სტუდენტებს საძიებელ სიტყვად „არასრულწლოვანი კანონდამრღვევები“ რომ გამოყენებინათ, შედეგად მიღებდნენ ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციას, რომლის დასახარისხებლადაც რამოდენიმე კვირა ან სულაც თვე დასჭირდებოდათ. შესაბამისად, უფრო ნაკლები და რელევანტური მასალის მოსაძიებლად მიზანშენონილია ისეთი კონკრეტული საძიებელი ფრაზების გამოყენება, როგორიცაა „აშშ-ში არასრულწლოვანთა მიერ კანონის დარღვევის მიზეზები.“

საძიებელი ველის დავიწროების შემდეგ მოძიებული წყაროებიდან ზოგიერთი შესაძლოა თქვენთვის ნაკლებად გამოსადეგი აღმოჩნდეს. მასალების დასახარისხებლად იხელმძღვანელეთ რამდენიმე ძირითადი კითხვით, მაგალითად: როგორ განისაზღვრება საკითხი? ეს განსაზღვრება ჩემს საკვლევ თემას რამდენად შეესაბამება? მიღებული ინფორმაცია ახალია თუ ჩემთვის უკვე ცნობილი? მესმარება თუ არა საკითხის უკვე აღქმაში? თუ ამ კითხვების უმეტესობაზე დადებითი პასუხი გაეცით, წყარო რელევანტურია.

## **ავტორი**

მომდევნო საფეხურია წყაროს ავტორ(ების) დადგენა. საგაზეთო თუ სამეცნიერო სტატიის ავტორის დადგენა ადვილია. მოიძიეთ ინფორმაცია საკვლევი თემის მიმართ სტატიის ავტორის დამოკიდებულების შესახებ. თუ საქმე სამეცნიერო სტატიას ეხება, დაადგინეთ, ავტორი მოღვაწეობს თუ არა, ან აქვს თუ არა აკადემიური ხარისხი ამ საკითხთან დაკავშირებულ სფეროში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, თუ ავტორის ექსპერტის სახით ციტირებას აპირებთ. ბეჭდური მედიის შემთხვევაში მოიძიეთ ინფორმაცია წყაროს პროფესიული ეთიკის შესახებ. ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ მოიძიოთ და გაეცნოთ სხვების აზრს მოცემული მედიაორგანიზაციის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეცნოთ სხვა ჟურნალისტებისა თუ ჟურნალისტური ორგანიზაციების მოსაზრებას წყაროს თაობაზე. ყველა საინფორმაციო წყარო სანდოობის სხვადასხვა დონით სარგებლობს, იმისდა მიხედვით თუ რამდენად ახდენენ გამოქვეყნებამდე ინფორმაციის სათანადოდ გადამოიწმებას. თუ ნაკლებად სანდო წყაროს საშუალებით მიაგენით საინტერესო და რელევანტურ ინფორმაციას, სცადეთ მსგავსი შინაარსის რეპორტაჟი უფრო ავტორიტეტულ გამოცემებში მოძებნოთ, რაც მოძიებული ინფორმაციის სანდოობას დაადასტურებს.

ინტერნეტშიაროების შემთხვევაში ავტორ(ების) შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლოა გავი-ჭირდეთ. ასეთ დროს იმ ორგანიზაციის სახელი მაინც უნდა დაადგინოთ, რომელსაც მოცემული ვებგვერდი ეკუთვნის. თუ ავტორის ვინაობა მითითებულია, მოიძიეთ ინფორმაცია მისი სხვა ნაშრომების შესახებ, თუ რომელ ორგანიზაციებთან არის ასოცირებული. ასევე, რას ფიქრობენ სხვები მის შესახებ. თუ ვებგვერდზე მხოლოდ ორგანიზაციის დასახელებაა მითითებული, ეს ორგანიზაციაც ისევე შეისწავლეთ, როგორც ავტორს შეისწავლიდით. ინფორმაცია დაგეხმარებათ განსაზღვროთ, არის თუ არა მოცემული ორგანიზაცია (პიროვნება) განსახილველი თემის ექსპერტი, რა წარმოადგენს მისი ცოდნის წყაროს და როგორია მისი პიროვნული განწყობა მოცემული საკითხის მიმართ (აღნიშნულ თემას განვიხილავთ წყაროს ტენდენციურობის შესახებ ქვეთავეში). თუ ვერც ავტორ(ებისა და ვერც ვებგვერდის მფლობელი ორგანიზაციის შესახებ მოიძიეთ ინფორმაცია, წყარო არ არის ლირებული და სანდო.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ „ექსპერტთა“ მოსაზრების ციტირებით არ შემოიფარგლოთ. მოიშველიერ არაპროფესიონალთა მოსაზრებებიც, განსაკუთრებით მაშინ თუ მათ შესაბამისი პირადი გამოცდილება გააჩნიათ. ამავდროულად, კვლევის განხორციელებისას მნიშვნელოვანია, განასხვავოთ კვლევაზე დაფუძნებული ინფორმაცია, რომელიც ზოგადად, თავმოყრილია სამეცნიერო სტატიებში, სახელმწიფო მონაცემთა ბაზებში, რესპექტაბელური ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემთა ბაზებში, ავტორიტეტულ გამოცემებსა და სხვა წყაროებში, როგორიცაა ეპიზოდური ინფორმაცია. ამ უკანასკნელ კატეგორიაში ერთიანდება ინფორმაცია, რომელიც ერთი ან ორი ადამიანის პირად გამოცდილებას ეყრდნობა და შესაძლოა ექსტრემალურ და უჩვეულო შემთხვევასაც წარმოადგენდეს. შესაბამისად, თუ თქვენს კვლევაში პიროვნების ციტირებას გადაწყვეტით, მოიძიეთ დამატებითი წყარო ან სხვა პიროვნება, რომელიც დაადასტურებს, რომ მოცემული შემთხვევა ცალკეულ, იზოლირებულ ინცინდენტს არ წარმოადგენს.

## სიზუსტე

სიზუსტე უშუალო კავშირშია წყაროს სანდოობასთან. პრობლემის შესასწავლად და თქვენს მიერ შედგენილი სამოქმედო გეგმის ეფექტურობის შესახებ არგუმენტის შემუშავებისას უნდა ეყრდნობოდეთ სანდო ინფორმაციას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ თქვენს მიერ გამოყენებული წყაროები იყოს სანდო. ციტატა, განსაკუთრებით თუ ის ექსპერტს არ ეკუთვნის, შესაძლოა გადმოსცემდეს დამახინჯებულ ან არაზუსტ ინფორმაციას, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც უცოდინრობით, ისე განზრას დეზინფორმაციით. ყოველთვის გადაამოწმეთ, რამდენად სანდოა თქვენი წყარო. თუ ინფორმაცია ეფუძნება შესაბამის კვლევას და ამ ინფორმაციის წყაროს ექსპერტი ან ავტორიტეტული ორგანიზაცია წარმოადგენს, შეგიძლიათ მის სანდოობაში ეჭვი არ შეიტანოთ. ასეთი ორგანიზაციებია გაერო, საერთაშორისო ამნისტია ან ისეთი მთავარი საინფორმაციო საშუალებები როგორებიცაა CNN და BBC. თუმცა, წყაროების შეჯერების გზით ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება რეკომენდებულია, ვინაიდან რაც უფრო მეტი წყარო ადასტურებს მოცემულ ინფორმაციას, მით მეტად შეგიძლიათ ენდოთ მას.

## ობიექტურობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რა კონკრეტული მიზანი ამიძრავებს ავტორსა თუ ორგანიზაციას, რომლისგანაც ვიღებთ ინფორმაციას. ინფორმაცია, მათ შორის სტატიისტიკური მონაცემებიც კი, ერთი და იგივე ამბის სხვადასხვა თვალსაზრისიდან გადმოცემის საშუალებას იძლევა. განვიხილოთ სასკოლო უბანში საბიუჯეტო სახსრების განაწილების მაგალითი. ჩატარებულ გამოცდებში ყველაზე დაბალი შეფასება მოსწავლეთა უმრავლესობამ მათემატიკასა და მეცნიერებაში მიიღო. მოცემული ინფორმაციის გამოყენებით სხვადასხვა ჯგუფებს შეუძლიათ ლობირება გაუწიონ საბიუჯეტო თანხების ისეთ გადანაწილებას, რომელიც მათი მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს. განვიხილოთ ოთხი ჯგუფის მაგალი-

თი. პირველი ჯგუფის მიზანს მასწავლებელთა სამსახურში აყვანის, დათხოვნისა და დაწინაურების ახალი სტანდარტების შემოღება წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ისინი ლობირებას უწევენ ინიციატივას, რომელიც გარკვეული კატეგორიის მასწავლებლების შემცირების ხარჯზე მათემატიკასა და მეცნიერებებში უკეთ კვალიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობისა და მათი ხელფასების გაზრდას ითვალისწინებს. მეორე ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც ძირითადად მასწავლებლები არიან, სულ სხვაგვარად მოახდინა გამოცდების შედეგების ინტერპრეტაცია და პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზა დასახა. კერძოდ, აღნიშნულმა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სახსრების გამოყოფა კლასგარეშე პროგრამების დასაფინანსებლად, როგორც მათემატიკაში ისე მეცნიერებაში, მოსწავლეებს აღნიშნული საგნების უკეთ სწავლაში და შესაბამისად, საგამოცდო ქულების გაუმჯობესებაში დაეხმარება. მესამე ჯგუფი კი პრობლემას სკოლის კურიკულუმის ჭრილში განიხილავს და თვლის, რომ ეს უკანასკნელი უკვე მოძველებულია და გადახედვას საჭიროებს სტუდენტთა სტანდარტიზებული გამოცდის შედეგების საფუძველზე. შესაბამისად, მესამე ჯგუფს მიიჩნია, რომ ბიუჯეტიდან საჭიროა გამოიყოს თანხები ექსპერტების დასაქირავებლად, რომლებიც მათემატიკისა და მეცნიერების არსებულ კურიკულუმებს განაახლებენ. მეოთხე ჯგუფს განსხვავებული მიზანი ამოძრავებს. მათ ინფორმაციის გამოყენება სკოლის დისკრედიტაციის მიზნით სურთ და არა გამოცდებში მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. ეს ჯგუფი დაინტერესებულია სტუდენტების კერძო სკოლაში მიზიდვით და შესაბამისად, მის ხელთ არსებული ინფორმაციით შეეცდება, მშობლები დაარწმუნოს, რომ საჯარო სკოლა ჯეროვან განათლებას არ იძლევა. მშობლები, რომლებიც ამ ჯგუფის მოსაზრებას იზიარებენ, მოცემულ ინფორმაციას გამოიყენებენ სხვა მშობლების დასარწმუნებლად, რათა მათ შეილები საჯარო სკოლაში არ შეიყვანონ.

ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებიდან რომლის პოზიციაა სწორი? თითოეული მათგანი საკუთარი მიზნების ადვოკატირებას ერთსა და იმავე ინფორმაციაზე დაყრდნობით ახდენს. ინფორმაცია ზუსტია და საიმედო, მაგრამ თითოეული ჯგუფი ამ მონაცემებს არგებს საკუთარ ინტერესებს და წარმოაჩენს მისთვის ხელსაყრელ ჭრილში. შესაბამისად, ის, რომ მონაცემები ზუსტი და საიმედოა, ავტომატურად არ გულისხმობს მის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების ობიექტურობას. ასეთ დროს მოცემული პიროვნებისა თუ ჯგუფის მიზნებიც უნდა გაითვალისწინოთ.

ობიექტურობის შეფასებისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ კიდევ ერთი ელემენტი - მონაცემთა მანიპულაცია მიზნის მისაღწევად. დავუშვათ, რომ საგამოცდო შედეგების დეტალური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სტუდენტთა ქვეჯგუფი, სადაც მიღებული ნიშნები სტუდენტთა საშუალო შეფასების მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. კერძოდ, სტუდენტთა უმრავლესობამ გამოცდებზე დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენა, მაგრამ მოცემული ქვეჯგუფის მიერ მიღებულმა დაბალმა ქულებმა საგრძნობლად დასწია სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი, რამაც საბოლოო მონაცემებში გადახრა გამოიწვია. მოცემული ქვეჯგუფი შესაძლოა აერთიანებს განსხვავებული საჭიროებებისა და თვისებების მქონე მოსწავლეებს: სწავლის შეზღუდული უნარის მქონე მოზარდებს, იმიგრანტთა შვილებს ან მოსწავლეებს, რომელთა ოჯახშიც უცხო ენაზე საუპრობენ. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია ამ ახალი ინფორმაციის გათვალისწინება ისეთი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ეხება სკოლის არჩევასა თუ სასკოლო ბიუჯეტის დაგეგმვას. ამავდროულად, ეს ინფორმაცია ყველა ჯგუფისთვის თანაბრად სასარგებლო როდია. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ მათგანს ურჩევნია, მხოლოდ საერთო საშუალო ქულებზე გაამახვილოს ყურადღება და ქვეჯგუფის შედეგები არ წარმოადგინოს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა მიერ მიღებული საგამოცდო ქულების საშუალო მაჩვენებელი არასწორია? არა, მაგრამ სრული სურათის შესაქმნელად ეს მონაცემები არასაკმარისია.

რას გვასწავლის მოცემული შემთხვევა? ამ შემთხვევის მაგალითზე, რა სახის კითხვების დასმაა მიზანშენილი? საკულევ ინფორმაციას მიუდექით კრიტიკულად, დასვით შესაბამისი კითხვები, ხოლო კვლევის პროცესში იხელმძღვანელეთ მატრიცით „ტენდენციურობის გამოვლენა“ (იხ. ცხრილი №3. გვერდი 41). მის საფუძველზე შეძლებთ, გამოავლინოთ ტენდენციურობის ნიშნები.

მატრიცა ასევე მეგზურობას გაგინევთ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ტენდენციურ წყაროსთან გაქვთ საქმე. კვლევის პროცესში შეგიძლიათ ტენდენციური წყაროებიც გამოიყენოთ, მაგრამ ამავდროულად, წყაროს ტენდენციურობას ჯეროვნად უნდა აფასებდეთ. უნდა განსაზღვროთ, თუ რამდენად გამოსადეგია ასეთი წყარო თქვენთვის და დამატებითი წყაროების მოსაძიებლად გეგმები დასახოთ. ზოგადად, თუ დაადგენთ, რომ წყარო ტენდენციურია, ეცადეთ იპოვოთ დამატებითი წყაროები, რომელიც განსხვავებულ პერსპექტივას შემოგთავაზებთ ან დაადასტურებს ინფორმაციის სანდობას.

## ვადები

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ როდის მოხდა ინფორმაციის მოპოვება და გამოქვეყნება. თუ ინფორმაცია საკმაოდ საიმედოა, მაგრამ ეყრდნობა 15 წლის წინ განხორციელებულ კვლევას, იგი შესაძლოა აღარ იყოს რელევანტური. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოზარდთა 60% კარგად ვერ კითხულობს, რაც გამოსადეგი ინფორმაციაა საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოების ლობირებისთვის, თუმცა თუ ეს მონაცემები ეყრდნობა სტატისტიკურ კვლევას, რომელიც წერა-კითხვის პროგრამის შემოღებამდე რამდენიმე წლის წინ განხორციელდა, შესაბამისად, შესაძლოა აღნიშნული მონაცემები აღარც იყოს რელევანტური. უფრო მეტიც, შესაძლოა, ამჟამად სულ სხვა მდგომარეობა არსებობს და კვლევის ჩატარების შემთხვევაში გამოვლინდეს, რომ მოზარდთა 60% კარგად კითხულობს. ამრიგად, წყაროს შერჩევის პროცესში მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ მისი ვადები. ზოგადად, უმჯობესია დაიწყოთ უახლესი ინფორმაციით და მიჰყევთ ქრონოლოგიას. 10 ან მეტი წლის წინანდელი სამეცნიერო ნაშრომი მოძველებულად ითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის რელევანტურობას სხვა წყაროები ადასტურებს.

## დოკუმენტირება

მოახდინეთ როგორც ბეჭდური, ისე ინტერნეტ რესურსებიდან მოძიებული ინფორმაციის ზუსტი დოკუმენტირება, რაც თქვენ და სხვებსაც საშუალებას მოგცემთ მიუბრუნდეთ ორიგინალ წყაროს, გადამოწმების ან მეტი ინფორმაციის მიღების მიზნით. ამასთან, მასალის გამოყენებისას აუცილებლად უნდა მიუთითოთ ავტორი. წყაროების დოკუმენტირება კვლევის პროცესში მოახდინეთ, რაც ორგანიზებულობაში დაგეხმარებათ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ შესაძლოა გაგიჭირდეთ გამოყენებული წყაროს ხელახლა მოძიება, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება ვებგვერდებს. წყაროს ციტირების რამდენიმე გზა არსებობს. გთავაზობთ ციტირების საყვარელთაოდ აღიარებულ რამდენიმე ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს. თუმცა, მიზანშენონილია, პირველ რიგში გადაამონმოთ, თქვენს ლექტორს ციტირებასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული მოთხოვნები ხომ არ აქვს.

ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები წყაროს დოკუმენტირებისთვის (Modern Language Association - MLA მეთოდის მიხედვით).

## წიგნიდან ციტირება

სტრუქტურა: გვარი, სახელი, წიგნის სახელწოდება, ქალაქი, გამომცემელი, გამოცემის წელი, წყაროს სახეობა.

მაგალითი: ჯეიმს, ჰენრი, „Ambassadors“, როკვილი: Serenity, 2009, ბეჭდური

## გაზეთიდან ციტირება

ბეჭდური

სტრუქტურა: გვარი, სახელი, სტატიის სახელწოდება, გაზეთის დასახელება (ქალაქი), გამოცემის თარიღი (დღე, თვე, წელი), გვერდ(ები), წყაროს სახეობა.

მაგალითი: ბოუმანი, ლი, „Bills Target Lake Erie Mussels“, „პიცბურგის პრესა“, 1990 წლის 7 მარტი: A4. ბეჭდური.

### გაზეთის ონლაინ გამოცემა

სტრუქტურა: გვარი, სახელი, სტატიის სახელწოდება, გაზეთის დასახელება (ქალაქი), გამოცემის თარიღი (დღე, თვე, წელი), ვებგვერდის დასახელება, მოპოვების თარიღი.

მაგალითი: ბოუმანი, ლი, „Bills Target Lake Erie Mussels“, „პიცბურგის პრესა“, 1990 წლის 7 მარტი: A4. Google News. ვები. 2010 წლის 16 მარტი.

### ჟურნალიდან ციტირება

ბეჭდური

სტრუქტურა: გვარი, სახელი, სტატიის სახელწოდება, ჟურნალის დასახელება, გამოცემის თარიღი (დღე, თვე, წელი), გვერდ(ები), წყაროს სახეობა.

მაგალითად: როტბარტი, დეივი, How I Caught up with Dad, Men's Health, 2008 წლის ოქტომბერი: 108-13. ბეჭდური

### ჟურნალის ონლაინ გამოცემა

სტრუქტურა: გვარი, სახელი, სტატიის სახელწოდება, ჟურნალის დასახელება (ქალაქი), გამოცემის თარიღი (დღე, თვე, წელი), ვებგვერდის დასახელება, მოპოვების თარიღი.

მაგალითად: როტბარტი, დეივი, How I Caught up with Dad, Men's Health, 2008 წლის ოქტომბერი. Google Books. ვები, 2010 წლის 16 მარტი.

### სამეცნიერო ჟურნალიდან ციტირება

ბეჭდური

სტრუქტურა: გვარი, სახელი, სტატიის სახელწოდება, ჟურნალის დასახელება, ნაწილი, ტომი, გამოცემა (გამოცემის თარიღი). გვერდ(ები), წყაროს სახეობა

მაგალითი: ჯეიკობი, უილიამი, “Public Attitudes Toward Government Spending”, პოლიტიკურ მეცნიერებათა ამერიკული ჟურნალი, 38.2 (1994): 336-61. ბეჭდური

### სამეცნიერო ჟურნალის ონლაინ გამოცემა

სტრუქტურა: გვარი, სახელი, სტატიის სახელწოდება, ჟურნალის დასახელება, ტომი, გამოცემა (გამოცემის თარიღი). გვერდ(ები), ვებგვერდის დასახელება. ვები. მოპოვების თვე, რიცხვი და წელი.

მაგალითი: აშოკ, სავიტრი, „Gender, Language, and Identity in Dogeaters: A Post Colonial Critique.“ პოსტკოლონიური ტექსტი 5.2 (2009). პოსტკოლონიური ტექსტი. ვები. 2010 წლის 23 აპრილი.

### ვებგვერდის ციტირება

სტატიები

სტრუქტურა: გვარი, სახელი, სტატიის სახელწოდება, ჟურნალის დასახელება, ტომი, გამოცემა (გამოცემის თარიღი). გვერდ(ები), ვებგვერდის დასახელება. ვები. მოპოვების თვე, რიცხვი და წელი.

მაგალითი: სატალკარ, ბაკტი, „Water Aerobics.“ Buzzle.com. Buzzle.com, 2010 წლის 15 ივნისი. ვები. 2010 წლის 15 ივნისი. <www.buzzle.com>.

## **მონაცემები ვებგვერდიდან**

სტრუქტურა: ორგანიზაციის დასახელება. ვებგვერდის დასახელება. ვებგვერდის გამომცემელი. ინფორმაციის გამოქვეყნების თარიღი (რიცხვი, თვე და წელი). ვები. ინფორმაციის მოპოვების თარიღი (რიცხვი, თვე და წელი).

მაგალითი: აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საკონსულო საქმეთა ბიურო. *Travel.State.Gov.* აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის საკონსულო საქმეთა ბიურო, 17 თებერვალი, 2010 წელი. ვები. 2010 წლის 4 მაისი. <[http://travel.state.gov/travel/cis\\_pa\\_tw/cis\\_1139.html](http://travel.state.gov/travel/cis_pa_tw/cis_1139.html)>.

## **ადამიანები, როგორც კვლევის წყარო**

საკვლევი თემის შესახებ ინფორმაციის წყარო შესაძლოა ადამიანებიც იყვნენ. ასეთ შემთხვევებში ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ გამოკითხვისა და გასაუბრების გზით. გაესაუბრეთ ექსპერტებს, შესაბამისი გამოცდილების მქონე პირებს და სხვებს, ვისაც საკვლევ თემასთან პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი აქვს და გააჩნია გარკვეული მოსაზრებები თუ გამოცდილება. გამოკითხვისა და გასაუბრების გზით არა მხოლოდ უკეთ შეისწავლით მოცემულ საკითხს, არამედ გაეცნობით განსხვავებულ მოსაზრებებს. შესაბამისად, უკეთ იქნებით მომზადებული ისეთი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რომელიც ბენეფიციართა საჭიროებებსა და მათთვის აქტუალურ საკითხებს ეხმიანება.

მივუბრუნდეთ საცხოვრებელი ბინის პარკინგის მაგალითს, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, გაეცნოთ დაინტერესებულ პირთა განსხვავებულ მოსაზრებებს. ჩამოწერეთ ყველა ის პიროვნება თუ ჯაშუფი, რომლისათვისაც მოცემული პრობლემა აქტუალურია, მაგალითად, ბინის მაცხოვრებლები, რომელთაც ხშირად ჰყავთ სტუმრები, მაცხოვრებლები, რომელთაც იშვიათად ან საერთოდ არ ჰყავთ სტუმრები, მაცხოვრებლები, რომლებიც ქუჩასთან ახლოს ცხოვრობენ, მეზობელი ბინების მაცხოვრებლები, ბავშვები, რომლებიც საცხოვრებელი ბინის ახლოს მდებარე ქუჩებში თამაშობენ და მათი მშობლები, ადგილობრივი პოლიცია და მერი, საგანგებო სამსახურის მძღოლები, რომლებიც მოცემული ქუჩით სარგებლობენ. რა დამოკიდებულება აქვს თითოეულ მათგანს მოცემული საკითხის მიმართ? ალბათ მათი უმრავლესობა თანხმდება, რომ პრობლემა არსებობს და მისი გადაჭრის გზას ეძებს, მაგრამ შესაძლოა მათ ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები გააჩნდეთ პრობლემის მოგვარების გზებთან დაკავშირებით. მაგალითად, ზოგიერთ მათგანს დააკამაყოფილებს ქუჩაში პარკირებისათვის სივრცის გამოყოფა, რომლითაც მათი სტუმრები ისარგებლებენ. როგორ ფიქრობთ, რომელი ჯგუფი იგულისხმება? ნანილს ეს ადექვატურ გადაწყვეტილებად მიაჩნია და საცხოვრებელ ბინასთან ახლოს პარკირებისათვის დამატებითი სივრცის გამოყოფას ითხოვს. როგორ ფიქრობთ, რომელი ჯგუფი უჭერს მხარს ამ იდეას? სხვადასხვა ჯგუფების გამოკითხვისა და მათთან გასაუბრების გზით შეძლებთ შეისწავლით განსხვავებული მოსაზრებები. ზოგჯერ ადამიანებს ჰგონიათ, რომ პრობლემა შესანიშნავად ესმით და სწორი გადაწყვეტის გზაც აქვთ მოძიებული, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩენენ, რომ ისინი, ვისთვისაც პრობლემა რეალურად აქტუალურია, საკითხს სულ სხვანაირად აღიქვამენ.

## **გამოკითხვის ჩატარება**

გამოკითხვები შედარებით მოკლე დროში დიდი მოცულობის ინფორმაციის მოძიების შესანიშნავი საშუალებაა. როგორც წესი, გამოკითხვები ტარდება წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით და მასში მრავალი ადამიანი იღებს მონაწილეობას. სხვადასხვა რესპონდენტისათვის ერთი და იგივე კითხვების დასმა მკვლევარს საშუალებას აძლევს დაადგინოს გამოკითხულთა პოზიცია ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით. ამავდროულად, ორგანიზაციების მსგავსად, შესაძლოა კონკრეტულ პირთა მოსაზრებაც მიკერძოებული იყოს, რაც დამოკიდებულია მათ პი-

რად გამოცდილებაზე. ამასთან, რთულია ისეთი ინფორმაციის მოძიება, რომელიც სამიზნე ჯგუფის მოსაზრებებს ზუსტად ასახავს. მიკერძოებული მოსაზრების ფაქტორის შესამცირებლად და წარმომადგენლობითი ნიმუშის შესარჩევად მკვლევარები სხვადასხვა საშუალებებს იყენებენ.

## პოპულაციაზე შერჩევის განზოგადება

მთლიანი პოპულაციის გამოკითხვა საჭირო არ არის. მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ იკვლევთ საქართველოში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის აქტუალურ პრობლემას. თითქმის შეუძლებელია ყველა ხანდაზმული მოქალაქის გამოკითხვა. სანაცვლოდ, საჭირო ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხანდაზმული მოსახლეობის პოპულაციის წარმომადგენლობითი ნაწილისგან. წარმომადგენლობითი შერჩევა შედგება მოსახლეობის მცირე ნაწილისაგან, რომელიც „წარმოადგენს“ ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოსაზრებებს. ნიმუშის შერჩევისას გასათვალისწინებელია შემდეგი ორი მნიშვნელოვანი საკითხი: 1. წარმომადგენლობითი ნიმუშის მისაღებად საჭიროა, რომ სამიზნე ჯგუფის ნებისმიერ წარმომადგენელს ჰქონდეს გამოკითხვაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა; 2. რამდენად რეალურად წარმომადგენენ შერჩეული რესპონდენტები სამიზნე ჯგუფს. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ მაგალითი:

სტუდენტები იკვლევენ კონკრეტულ რეგიონში ხანდაზმულთა საცხოვრებელ ადგილებთან დაკავშირებულ პრობლემას. მეტი ინფორმაციის მოძიების მიზნით გადაწყვიტეს, ადგილობრივი დაწესებულებისთვის, რომელიც ხანდაზმულებს თავშესაფრით უზრუნველყოფს, კითხვარები გაეგზავნათ. სტუდენტები ვარაუდობდნენ, რომ გამოკითხვის საფუძველზე მიღებული სასარგებლო ინფორმაცია მათ დაეხმარებოდათ სამიზნე ჯგუფის პერსპექტივიდან პრობლემის უკეთ გაანალიზებაში. დავუშვათ, რამდენიმე სტუდენტმა მოინახულა დაწესებულება და კითხვარი ყველა შემხვედრს ჩამოურიგა. მაშინაც კი, თუ სტუდენტებმა შემხვედრი ადამიანებისგან მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათი მოსაზრებები და გამოცდილება დაწესებულებაში მცხოვრებთა მოსაზრებებსა და გამოცდილებას შესაძლოა არც კი ასახავდეს. დავუშვათ, დაწესებულებაში მცხოვრებ პირებს დღის განმავლობაში საწოლიდან წამოდგომა უჭირთ. შესაბამისად, ისინი სტუდენტებს ვერ შეხვდებოდნენ. ან იქნებ მათი ნაწილი შედარებით აქტიურია და დღის უმეტეს ნაწილს გარეთ ატარებს, სეირნობს, ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ხვდება. შესაბამისად, ვერც ისინი შეხვდებოდნენ სტუდენტებს. ამრიგად, დიდია იმის შესაძლებლობა, რომ გამოკითხვის შედეგები ასახავდეს დაწესებულებაში მაცხოვრებელთა მხოლოდ იმ ნაწილის მოსაზრებებს, რომელიც დღის განმავლობაში ოთახიდან გამოდის მაგრამ გარეთ არ გადის, ან სტუდენტთა მიერ დაწესებულების მონახულების პერიოდში ადგილზე იმყოფებოდა.

მოცემული მაგალითი ასახავს შემთხვევითი შერჩევისა და სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლობითი ნიმუშის ორ მნიშვნელოვან კონცეფციას. შემთხვევითი შერჩევა გულისხმობს იმას, რომ სამიზნე ჯგუფის ყველა წარმომადგენელს (მოცემულ შემთხვევაში, კონკრეტულ დაწესებულებაში მაცხოვრებელ ხანდაზმულებს) გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების თანაბარი შესაძლებლობა აქვთ. ამ მიზნის მიღწევა მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია კითხვარის ყველასთვის დარიგებით. გამოკითხვის ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც მკვლევარები ხშირად მიმართავენ, კითხვარის შემთხვევით შერჩეული პირებისათვის დარიგების მეთოდია. ზოგ შემთხვევაში სამიზნე ჯგუფის ყველა წარმომადგენელს ენიჭება ნომერი, ხოლო კითხვარი ყოველ მესამეს ურიგდება.

თუმცა, მოცემულ შემთხვევაში კითხვარის დასარიგებლად სტუდენტებს შემთხვევითი შერჩევის მეთოდი რომც გამოეყენებინათ, წარმომადგენლობითი ნიმუშის შექმნა მაინც პრობლემური იქნებოდა. ხანდაზმულთა თავშესაფარში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სავარაუდოდ ასახავდა სამიზნე ჯგუფის მხოლოდ ნაწილის მოსაზრებებს. კერძოდ, მათ მოსაზრებებს, ვისაც ოთახიდან გამოსვლა არ უჭირთ და გამოკითხვის ჩატარების დროს თავშესაფარში იმყოფებოდა. თუ ყოველი მესამე რესპონდენტი მიეკუთვნება სამიზნე ჯგუფის

წარმომადგენელთა მხოლოდ ხსენებულ კატეგორიას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოკითხვის შედეგები რეალობას ასახავდეს. კერძოდ, მასში არ იქნება ასახული გარეთ გადადგილების შესაძლებლობის მქონე მაცხოვრებელთა გამოცდილება, რომელიც რადიკალურად განსხვავდება სამიზნე ჯგუფის იმ წარმომადგენელთა გამოცდილებისაგან, რომლებიც დღის განმავლობაში საკუთარ ოთახებს არიან მიჯაჭვულები. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება სტრატიფიკაციის მეთოდი. ამ მეთოდის დროს ხდება სამიზნე ჯგუფის დაყოფა ქვეკატეგორიებად. მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში სამიზნე ჯგუფი შესაძლოა დაიყოს შემდეგ ქვეკატეგორიებად: 1) ისინი, ვინც დღის განმავლობაში საკუთარ ოთახებს არიან მიჯაჭვულები; 2) ისინი, ვინც ოთახს რეგულარულად ტოვებენ, მაგრამ თავშესაფრიდან არ გადიან და 3) ისინი, ვინც თავშესაფარს რეგულარულად ტოვებენ. ქვეკატეგორიები განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა სახის ინფორმაციის მოპოვება გსურთ. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ გაინტერესებთ, რამდენად განსხვავდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა საჭიროებები ერთმანეთისგან, სამიზნე ჯგუფი ქვეკატეგორიებად ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უნდა დაყოთ. შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით, აარჩიეთ წარმომადგენელი თითოეული ქვეჯგუფიდან. ამასთან გახსოვდეთ, რომ შემთხვევითი შერჩევის მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ სამიზნე ჯგუფის ზომა უკლებლივ ყველა წარმომადგენლის გამოკითხვის საშუალებას არ იძლევა. მაგალითად, თუ სამიზნე ჯგუფს სხვადასხვა თავშესაფრების მაცხოვრებელი ხანდაზმულები წარმოადგენენ, შემთხვევითი შერჩევა მნიშვნელოვნად გაგიადვილებთ გამოკითხვის ადმინისტრირებას, შედეგების თავმოყრასა და ინტერპრეტაციას.

ბოლო პერიოდში სოციალური მედია გამოკითხვების ჩატარების პოპულარულ მეთოდად იქცა, თუმცა ამ მეთოდს სერიოზული ხარვეზებიც აქვს. მაგალითად, Facebook-ზე ჩატარებული ღია (სწრაფი) გამოკითხვები წარმომადგენლობითი არ არის და არც შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენების საშუალებას იძლევა. ამ ტიპის გამოკითხვები ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამიზნე ჯგუფს Facebook-ის კონკრეტული ჯგუფი წარმოადგენს, მაგ. საუნივერსიტეტო კლუბის წევრები. თუ სამიზნე ჯგუფის ყველა წარმომადგენლის ინფორმირებას დროულად მოახდენთ და მათ საკმარის დროს მისცემთ კითხვარის შესავსებად, გამოკითხვის შედეგები წარმომადგენლობითი იქნება, თუმცა საბოლოო ჯამში შედეგების წარმომადგენლობითობას განსაზღვრავს რესპონდენტთა რაოდენობა და ვინაობა.

გაითვალისწინეთ, რომ გამოკითხვის პროცესში ყოველთვის არ გექნებათ შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებისა თუ სამიზნე ჯგუფის ქვეკატეგორიებად დაყოფის საშუალება. მთავარია, ზუსტად აცნობიერებდეთ ალნიშნული სამეცნიერო მეთოდების გამოყენების გარეშე მოპოვებული მონაცემების დადებით და უარყოფით მხარეებს, და შესაბამისი დასკვნები ისე გამოიტანოთ. როდესაც არგუმენტირებისას ან სხვების დასარწმუნებლად იშველიებთ კვლევის საფუძველზე მოპოვებულ მონაცემებს, მნიშვნელოვანია ჩანდეს მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებული მეთოდები, მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები და ანალიზთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები.

## კითხვარის შედგენა

კარგი კითხვარის შედგენა არც ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ცუდად შედგენილი კითხვარი გამოიწვევს დეზინფორმაციას და სასარგებლო ინფორმაციის მოსაპოვებლად არ გამოდგება. კარგად შედგენილი კითხვარი კი დაგეხმარებათ საჭირო ინფორმაციის მოპოვებაში. (იხ. ცხრილი №4 „მზადება გამოკითხვისთვის“. გვერდი 42) კითხვარის შედგენისას გაითვალისწინეთ შემდეგი:

- გარკვევით გადმოეცით კონკრეტულად რა ინფორმაციის მოპოვება გსურთ. კითხვების შედგენამდე განსაზღვრეთ გამოკითხვის მიზნები და დარწმუნდით, რომ თითოეული კითხვა ამ მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ;

- კითხვები უნდა იყოს მარტივი, მკაფიო და გასაგები;
- ნუ გამოიყენებთ ორმაგ კითხვებს, მაგალითად, „რა რეაქცია ჰქონდათ მშობლებსა და მოსწავლებს ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებით?“ დიდი ალბათობით, ამ ორ ჯგუფს განსხვავებული რეაქციები ექნებოდათ. შესაბამისად, თქვენი კითხვა ორი სხვადასხვა კითხვის სახით უნდა ჩამოაყალიბოთ და არა ერთ წინადადებაში;
- უმჯობესია, თუ მოკლე კითხვარებს გამოიყენებთ. დასვით მხოლოდ და მხოლოდ საჭირო კითხვები. კითხვების მაქსიმალური რაოდენობა უნდა იყოს 6-დან 10-მდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, რესპონდენტებს პასუხების გაცემა მობეზრდებათ და არასერიოზულ პასუხებს გაგცემენ, ან სულაც არ უპასუხებენ თქვენს კითხვებს;
- მოერიდეთ მიკერძოებული კითხვების დასმას. კითხვის ფორმულირება უნდა იყოს ნეიტრალური და არ უნდა გამოხატავდეს თქვენს პირად დამოკიდებულებას. მაგალითად, „როგორ ფიქრობთ, ახალი კაფეტერიის მენიუ ძველთან შედარებით ჯანსაღი საკვების უკეთეს არჩევანს გთავაზობთ?“ კითხვაში უკვე იგულისხმება, რომ ახალი მენიუ უკეთესია და შესაბამისად, მან შესაძლოა გავლენა იქნიოს რესპონდენტთა პასუხებზე. უმჯობესია, კითხვა დასვათ ასე: „როგორ შეადარებდით ერთმანეთს კაფეტერიის ახალ და ძველ მენიუებს?“;
- კითხვები უნდა იყოს მკაფიო და ორგანიზებული, რაც რესპონდენტებს მათზე პასუხის გაცემას გაუადვილებთ;
- თუ რესპონდენტებს პასუხების არჩევანს სთავაზობთ, დარწმუნდით რომ სავარაუდო პასუხები ასახავს განსხვავებული მოსაზრებების სრულ სპექტრს. მაგალითად, თუ კითხვა შეეხება სიხშირეს, სავარაუდო პასუხებს შორის ჩამოწერეთ: „ყოველთვის“, „ხშირად“, „ზოგჯერ“, „იშვიათად“, „არასოდეს“. წინააღმდეგ შემთხვევაში, რესპონდენტები იძულებულები იქნებიან აირჩიონ პასუხი, რომელიც მათ მოსაზრებას ან უნარ-ჩვევებს ზუსტად არ ასახავს.

### **კვლევის შეკითხვების ნიმუში**

ქვემოთ მოცემულია შეკითხვები კვლევისთვის, რომელიც სამთავრობო უწყებას შეუძლია გამოიყენოს თავისი საქმიანობის შესაფასებლად. ნიმუშის სახით მოცემულია რამდენიმე ტიპის შეკითხვა. მათ შორის: ტესტური, რეიტინგული და ე.ნ. „ლია“ შეკითხვები. ნიმუშის გარჩევისას იფიქრეთ თუ რამდენად არის გათვალისწინებული რჩევები კვლევის კითხვების შედგენასთან დაკავშირებით.

### **ტესტური შეკითხვები**

**ნიმუში 1:** თქვენ მოქალაქე ხართ? გთხოვთ, შემოხაზოთ სწორი პასუხი დიახ/არა

**ნიმუში 2:** რამდენი წლის ხართ? გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი პასუხი მოცემულ ხაზზე  
 \_\_\_\_A) 18-25    \_\_\_\_B) 26-35    \_\_\_\_C) 36-45    \_\_\_\_D) 45-60    \_\_\_\_E) 60 და მეტი

**ნიმუში 3:** გასული თვის განმავლობაში რამდენჯერ მიმართეთ ჩვენს უწყებას ამ საკითხთან დაკავშირებით? გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი პასუხი მოცემულ ხაზზე

- ერთხელ -----
- ორჯერ -----
- სამჯერ -----
- სამზე მეტად -----
- არ ვიცი/დარწმუნებული არ ვარ -----

## მიანიჭეთ შეკითხვებს შესაბამისი რეიტინგი

**ნიმუში 4:** ქვემოთ მოცემული ფაქტები შეაფასეთ რეიტინგულად, იმის მიხედვით თუ რა არის თქვენთვის ყველაზე მეტად და ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი უწყებასთან ურთიერთობისას. შერჩეული რიცხვები ჩაწერეთ შესაბამის გრაფაში შემდეგი სქემის გათვალისწინებით: 1=ყველაზე მნიშვნელოვანი, 5=ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი.

მომსახურების მახასიათებლები	1	2	3	4	5
ზარზე პასუხის მოღონის დრო					
ზარზე მოღონის რეაგირები ყოველი დრო					
უცხვების ცარმოადგენლის უნარ-ჩვევები მომხმარებელთა მომსახურების გუთხით					
უცხვების ცარმოადგენლის ცოდნა					
პროგლემის მოგვარება					

**ნიმუში 5:** მომხმარებელთა მომსახურე პირი კარგად ერკვეოდა საკითხში. გთხოვთ, თქვენი პასუხი დააფიქსირეთ ქვემოთ მოცემულ ხაზზე.  
 ---სრულიად ვეთანხმები ---ვეთანხმები ---არ ვეთანხმები  
 ---კატეგორიულად არ ვეთანხმები ---არ მაქვს მოსაზრება

## ლია შეკითხვები

**ნიმუში 6:** როგორ შეიძლება ჩვენს უწყებასთან მიმართებით თქვენი გამოცდილების გაუმჯობესება? გთხოვთ, წარმოადგინოთ რამდენიმე წინადადება, თუ როგორ გავაუმჯობესოთ მომხმარებელთა მომსახურების პროცესი.

## გასაუბრება

გასაუბრება უფრო ღრმა და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვების სასარგებლო მეთოდს წარმოადგენს, რომელიც საშუალებას მოგცემთ რესპონდენტებს სთხოვოთ, განმარტონ თავიანთი პასუხები და უპასუხონ დამატებით კითხვებს. ამასთან, გასაუბრების დროს რესპონდენტები შეძლებენ გაგიზიარონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც კითხვარში ასახული არ ყოფილა.

გასაუბრებამდე უნდა განსაზღვროთ მისი მიზნები, რის საფუძველზეც გამოავლენთ პოტენციურ რესპონდენტებს და შეიმუშავებთ გასაუბრების ფორმატს. მაგალითად, თუ თქვენ ფაქტობრივი ინფორმაცია გაინტერესებთ, უმჯობესია გაესაუბროთ ექსპერტებს. თუ რომელიმე კონკრეტული სამიზნე ჯგუფის მოსაზრებით ხართ დაინტერესებული, მაგ. ხანდაზმულები, მაშინ უნდა გაესაუბროთ ამ ჯგუფის ისეთ წარმომადგენლებს, რომლებიც განსხვავებულ პირობებში იმყოფებიან, მაგალითად, მათ ვინც ცხოვრობს ხანდაზმულთა თავშესაფარში, ოჯახის წევრებთან და მარტო. ეს რესპონდენტთა პასუხებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებებსა და მსგავსებებს თქვენთვის უფრო თვალსაჩინოს გახდის. მიზნების განსაზღვრა დაგეხმარებათ რესპონდენტთა საჭირო რაოდენობის დადგენასა და კითხვების უკეთ ფორმულირებაში.

გასაუბრების ორი ფორმა არსებობს: სტრუქტურული და არასტრუქტურული. სტრუქტურული ფორმა გულისხმობს კითხვარის წინასწარ შედგენას, ხოლო რესპონდენტები ერთსა და იმავე კითხვებს პასუხობენ. ეს მიღვომა საშუალებას მოგცემთ, გასაუბრების ფარგლებში ყურადღება

გაამახვილოთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაციაზე. ამასთან, შეძლებთ, ერთმანეთს შეადაროთ რესპონდენტთა პასუხები და გამოავლინოთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი მსგავსება თუ განსხვავება. ეს ყოველივე სტრუქტურული მიდგომის უპირატესი მხარეებია. უარყოფით მხარებს რაც შეეხება, რესპონდენტი შესაძლოა ფლობდეს თქვენთვის მნიშვნელოვან დამატებით ინფორმაციას, მაგრამ სტრუქტურული გასაუბრების ფორმატიდან გამომდინარე (რომელშიც კითხვები წინასწარ განსაზღვრულია) თქვენთვის ამ ინფორმაციის გაზიარება ვერ შეძლოს. სტრუქტურული გასაუბრების ბოლოს შეგიძლიათ რესპონდენტს ჰკითხოთ, რაიმეს დამატებას ხომ არ ისურვებდა. ეს მათ საშუალებას მისცემს, გაგიზიაროთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა თქვენთვის გამოსადეგი აღმოჩნდეს.

არასტრუქტურულ გასაუბრებას რაც შეეხება, მას უფრო საუბრის ფორმა აქვს, ხოლო კითხვები რესპონდენტის მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე სვამთ. ეს ფორმატი სასარგებლოა სიღრმისეული ინფორმაციის მოსაპოვებლად, მაგრამ სტრუქტურული ფორმატისგან განსხვავებით, რესპონდენტთა პასუხების შედარების საშუალებას არ იძლევა. ხშირად რთულია, აკონტროლოთ არასტრუქტურული გასაუბრება, რის გამოც დამწყებმა მკვლევარმა შესაძლოა გასაუბრების ბოლოს აღმოაჩინოს, რომ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხები ვერ მიიღო. სწორედ ამიტომ, რეკომენდებულია გასაუბრების ნაწილი მაინც ჩაატაროთ სტრუქტურულ ფორმატში. (იხ. ცხრილი №5 „მზადება გასაუბრებისთვის“. გვერდი 43).

### **გამოკითხვისა და გასაუბრების გზით მოპოვებული მონაცემების ანალიზი**

გამოკითხვისა და გასაუბრების საფუძველზე მოპოვებული მონაცემები დაგეხმარებათ, შეიტყოთ მეტი საკვლევი თემის მიმართ სამიზნე ჯგუფის დამოკიდებულებების, აღქმისა და შესაბამისი გამოცდილების შესახებ. ამავდროულად, სასარგებლო ინფორმაციის მიღება მხოლოდ მოპოვებული მონაცემების გულმოდგინე ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი. მონაცემების ანალიზი ორ ძირითად მიზანს ემსახურება: რესპონდენტთა პასუხებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსებებისა თუ განსხვავებების გამოვლენას და გამოვლენილ განსხვავებებსა და ინდივიდუალურ ქვეჯგუფებს შორის კვაშირის დადგენას. რესპონდენტთა პასუხებს შორის მსგავსების დადგენა არ ნიშნავს 100%-ით იდენტური პასუხების გამოვლენას, არამედ ყურადღება უნდა მიაქციოთ საერთო ტენდენციებსა და ელემენტებს.

### **მონაცემთა ანალიზი, საწყისი ეტაპი**

საერთო ტენდენციების გამოვლენამდე პირველ რიგში პასუხების შეჯამება ანუ „კოდირება“ უნდა მოახდინოთ. ტერმინი „კოდირება“ მონაცემთა კატეგორიზაციას გულისხმობს. ანალიზის მეთოდი განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის კითხვები იქნა გამოყენებული ღია, თუ დახურული.

დახურული კითხვების შემთხვევაში მონაცემთა კატეგორიზაცია უფრო ადვილია, ვინაიდან ყველა რესპონდენტი სავარაუდო პასუხებს შორის აკეთებს არჩევანს. მაგალითად, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობთ, თქვენ: ა) ყოველთვის ვიხდი მგზავრობის საფასურს; ბ) როგორც წესი, ვიხდი; გ) ზოგჯერ ვიხდი; დ) იშვიათად ვიხდი; ე) არასოდეს ვიხდი. პასუხების შესაჯამებლად უბრალოდ უნდა გამოთვალით იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც კონკრეტული სავარაუდო პასუხი აირჩიეს. მაგალითად, 133 გამოკითხულიდან 64-მა აირჩია პასუხი „ა“, 45-მა აირჩია „ბ“, 16-მა „გ“, ხოლო 8-მ „დ“.

ღია კითხვებზე გაცემული პასუხების კატეგორიზაცია შედარებით რთულია და თქვენგან გარკვეული გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს. უმჯობესია, ღია სახის კითხვები წინასწარ დაყოთ კატეგორიებად, მაგალითად, ა) მტკიცედ უჭერენ მხარს; ბ) უჭერენ მხარს; გ) მოსაზრება არა აქვს; დ) ეწინააღმდეგება; ე) მტკიცედ ეწინააღმდეგება. პასუხები ამ კატეგორიების

ქვეშ გადაანაწილეთ და შემდეგ დააჯამეთ, რომელი კატეგორიის ქვეშ რამდენი პასუხი მოხვდა, ისე როგორც დახურული კითხვების შემთხვევაში. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა რომელიმე კონკრეტული პასუხი არც ერთ კატეგორიას არ ერგებოდეს. ასეთ დროს უმჯობესია, პასუხი დროებით გვერდით გადადოთ. დანარჩენი მონაცემების კოდირებას რომ დაასრულებთ, გვერდზე გადადებულ პასუხებს მიუბრუნდით. ამ პასუხებს რა აქვთ საერთო? რა აქვთ განსხვავებული? ეს შესაძლოა ახალი კატეგორიის გამოვლენაშიც დაგეხმაროთ. ასეთ შემთხვევებში მკვლევარები ამბობენ, რომ მონაცემები „ამბავს გვიყვება“, ამიტომ პასუხები გულდასმით უნდა შეისწავლოთ და არ გამოგრჩეთ რაიმე „ამბავი“, რომელსაც მონაცემები „გვიყვება“. მეორეს მხრივ, ეს პასუხები შესაძლოა წარმოადგენდეს ანომალიას, ანუ იყოს „ამოვარდნილი“, როგორც მას მკვლევარები ეძახიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაცემები პასუხების საშუალო დიაპაზონს სცდება და შესაბამისად, ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებასა თუ გამოცდილებას არ წარმოადგენს. ასეთ პასუხებს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება.

მონაცემთა შეჯამების ანუ კოდიფიცირების შემდეგ ხდება მათი ანალიზი მნიშვნელობის დასაგენად. ასეთ დროს ხშირად პირველ რიგში ხდება ყველაზე ფართოდ გავრცელებული მოსაზრებისა თუ ტენდენციის გამოვლენა. მივუბრუნდეთ ზემოთ განხილულ მაგალითს. თვალი გადაავლეთ გამოკითხვის შედეგებს. რას მიუთითებს ეს შედეგები? მათზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ავტობუსით მგზავრობის საფასურს იხდის. თუმცა, მოპოვებული მონაცემები კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. თუ კარგად დააკვირდებით, დაინახავთ, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი სულ მცირე, ზოგ შემთხვევაში მაინც არ იხდის მგზავრობის საფასურს. ეს საკმაოდ ყურადსალები ინფორმაციაა, თუ თქვენს მიზანს არსებულ პრაქტიკაში პრობლემის გამოვლენა წარმოადგენს. მგზავრობის ღირებულების გადამხდელთა და არაგადამხდელთა შესახებ უფრო ღრმა და ამომწურავი სურათის შექმნაში დაგვეხმარება ანალიზის მეორე სახეობა, რომელიც ქვეჯგუფებს უკავშირდება. ჩავთვალოთ, რომ კითხვარში რესპონდენტებმა მიუთითეს თავიანთი ასაკი და სქესი. რესპონდენტთა პასუხები დავყოთ ასაკობრივი ქვეჯგუფებისა და სქესის მიხედვით. დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ ცხრილს (სიმარტივისთვის ცხრილი მხოლოდ სამ ასაკობრივ ჯგუფს ასახავს. როგორც წესი, ასაკობრივი ჯგუფების რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ თემაზე და ხშირად სამს აღემატება). რა ტენდენციებს ამჩნევთ? რომელი ქვეჯგუფი იხდის მგზავრობის საფასურს ყველაზე ხშირად? რომელი არ იხდის?

**გამოკითხვის შეკითხვა: „ქვემოთ ჩამოთვლილ დეპულებიდან რომელი ასახავს თქვენს მედიებას საზოგადოებრივი ფრანსაორტით მგზავრობისას?“**

გამრ.	ასაკი 16-25	26-40	41 და ზევით	სულ
ა - ყოველთვის ვიხდი	4	12	17	33
ბ - ჩვეულებრივ ვიხდი	4	7	10	21
გ - ხანდახან ვიხდი	6	4	0	10
დ - იჯინითად ვიხდი	7	0	0	7
ე - არასოდეს ვიხდი	0	0	0	0
<b>გდებრ.</b>				
ა - ყოველთვის ვიხდი	5	10	16	31 (64)
ბ - ჩვეულებრივ ვიხდი	4	10	10	24 (45)
გ - ხანდახან ვიხდი	3	3	0	6 (16)
დ - იჯინითად ვიხდი	1	0	0	1 (8)
ე - არასოდეს ვიხდი	0	0	0	0 (0)

ზემოთ მოყვანილი მონაცემები რამდენიმე ტენდეციას ასახავს, კერძოდ:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურს ყველაზე ნაკლებად იხდიან ახალგაზრდები;
- მგზავრობის საფასურს რეგულარულად ყველაზე ნაკლებად იხდიან 16-დან 25 წლამდე ასაკის მამრობითი სქესის წარმომადგენლები;
- მგზავრობის საფასურს რეგულარულად ყველაზე მეტად იხდიან 40 წელს ზემოთ ასაკის მგზავრები.

ანალიზის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაცია დაგეხმარებათ პრობლემის უკეთ შესწავლაში. ახლა, როდესაც თქვენთვის ცნობილია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურს ყველაზე ნაკლებად ახალგაზრდები იხდიან, შეგიძლიათ დასახოთ შესაბამისი ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად. გაიხსენეთ ზემოთ მოყვანილი მაგალითი პრობლემის არასწორი დიაგნოზის შესახებ. ამ შემთხვევაში სტუდენტების მიერ პრობლემის სიღრმისეულად შესწავლასა და რეალური ცვლილების მოხდენას ინფორმაციის ნაკლებობამ შეუშალა ხელი. ზოგადად, რაც უფრო ზუსტია ინფორმაცია, მით უფრო მეტად გაგიადვილდებათ კვლევის წარმოება და პრობლემის ანალიზი, რაც საბოლოო ჯამში, პრობლემის ეფექტური გადაწყვეტის მიგნებას უწყობს ხელს.

მონაცემთა ანალიზის დროს უნდა გამორიცხოთ მოვლენასა და ცვლად აქტორს შორის პირდაპირი მიზეზობრივი ურთიერთობის დადგენა. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები უფრო ნაკლებად იხდიან მგზავრობის საფასურს, არ ნიშნავს, რომ პრობლემის გამომწვევი მიზეზია ასაკი და შესაბამისად, რაც უფრო მეტად ემატებათ ასაკი ადამიანებს, მით უფრო მეტად იხდიან მგზავრობის გადასახადს. ახალგაზრდების საქციელის გამომწვევი მიზეზების შესწავლა დამატებით კვლევას საჭიროებს. ამას მივყავართ მონაცემთა ანალიზის ბოლო ეტაპამდე, რომელიც ტენდენციების გამოვლენას გულისხმობს. მიზეზების დადგენაში დაგეხმარებათ სხვა გამოკითხვის ან გასაუბრების შედეგები, რომლის ფარგლებშიც რესპონდენტებმა მიზეზებთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს. შეისწავლეთ, რა საერთო აქვთ მიღებულ პასუხებს და შედეგებს გამოკითხვის ფარგლებში დასმულ სხვა კითხვებზე გაცემულ პასუხებთან. შეადარეთ პასუხები მათ შორის რაიმე ურთიერთკავშირის დასადგენად. მაგალითად, დავუშვათ, რომ მიზეზებს შორის რესპონდენტები ყველაზე ხშირად უფულობას ასახელებდნენ. თუ თქვენ დაადგინეთ, რომ აღნიშნული მიზეზი ძირითადად 16-დან 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს მოჰყავდათ, შეგიძლიათ დაასკვნათ, რომ ახალგაზრდების უმეტესობა მგზავრობის საფასურს უფულობის გამო არ იხდის. ახლა თქვენ უკვე გაქვთ საკმარისი ინფორმაცია პრობლემის გადასაჭრელი რეკომენდაციის შესამუშავებლად, მაგალითად, სტუდენტებისთვის შეღავათიანი სამგზავრო ტარიფების შემოღება.

## **საფეხური 3 – 6 კურსით მიღებული ცოდნის გამოყენება პროექტის თვალის მუშაობისას**

### **საფეხური 3 – პრობლემის ანალიზი მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობის პერსპექტივიდან**

დემოკრატიულ საზოგადოებაში პრობლემის მოგვარება სხვადასხვა გზებით შეიძლება. ზოგჯერ საუკეთესო გამოსავალს მთავრობის მიერ შესაბამისი ზომების მიღება წარმოადგენს. ამ ეტაპის ფარგლებში თქვენ გევალებათ გამოვლენილი პრობლემის ანალიზი მთავრობის პერსპექტივიდან. ზოგ შემთხვევაში არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც პრობლემის ეფექტურად მოგვარების საშუალებას შეუწყობდა ხელს. შესაბამისად, უმჯობესია ეს თემა ხელისუფლების წარმომადგენლების ყურამდე მიიტანოთ. ზოგ შემთხვევაში შესაბამისი კანონი არსებობს, მაგრამ არ ხდება მისი ჯეროვანი აღსრულება. ასეთ დროს უნდა გამოიკვლიოთ არსებული კანონმდებლობა და პრობლემის შესახებ ხელისუფლების წარმომადგენლებს გაესაუბროთ.

პირველ რიგში, გაეცანით სახელმძღვანელოს პირველ თავს. სახელმძღვანელო და საკლასო აქტივობები საშუალებას მოგცემთ, გაეცნოთ ზოგადად დემოკრატიული მთავრობების მოვალეობებს და კონკრეტულად, საქართველოს ხელისუფლების მოვალეობებს ქართველი ხალხის მიმართ. ეს ცოდნა მნიშვნელოვნად დაგეხმარებათ მთავრობის ჩართულობით პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებაში.

პროექტის მოცემული ეტაპის მიზანს წარმოადგენს იმის შეფასება, თუ რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ თქვენს მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის მოსაგვარებლად. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რომ შეძლოთ, უნდა გესმოდეთ მთავრობის მოვალეობები, საქართველოს მოქალაქეების უფლებები და არსებული კანონმდებლობა. რეკომენდებულია, გადახედოთ საქართველოს კონსტიტუციის გარკვეულ ასპექტებს და იდენტიფიცირებული პრობლემის მიხედვით გამოიკვლიოთ შესაბამისი კანონმდებლობა და სახელისუფლებო დოკუმენტები, ასევე, გაესაუბროთ სახელმწიფო მოხელეებს.

ასევე მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად ღრმა და ამომწურავი პასუხი გასცეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს. ზოგიერთი მათგანი ალბათ საკლასო დისკუსიების დროსაც განიხილეთ. მოცემულ ეტაპზე თქვენი გზამკვლევი სწორედ ეს კითხვები იქნება. ისინი საშუალებას მოგცემთ, ჩაუღრმავდეთ მთავრობის როლს თქვენს მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის გადასაჭრელად. გამოიყენეთ ცხრილი „მთავრობის როლი და თქვენი საკვლევი თემა“. (იხ. ცხრილი №6. გვერდი 44).

- აკისრია თუ არა საქართველოს მთავრობას თქვენს მიერ გამოვლენილი პრობლემის მოგვარების პასუხისმგებლობა? თქვენი პასუხი სრულად განმარტეთ. დაიმოწმეთ საქართველოს კონსტიტუციის ან დემოკრატიის პრინციპების კონკრეტული ასპექტების ციტატები;
- რა კონკრეტული ქმედებები გადადგა საქართველოს ხელისუფლებამ პრობლემის მოსაგვარებლად? რამდენად წარმატებული გამოდგა ეს ქმედებები? მიგაჩნიათ, რომ მეტის გაკეთება საჭირო? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, საქართველოს მთავრობამ რა უნდა მოიმოქმედოს თქვენს მიერ გამოვლენილი პრობლემის გადასაჭრელად?

## **საცესური 4 – პრობლემის ანალიზი ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან**

პროექტის ამ საფეხურზე გამოიყენეთ ადამიანის უფლებების შესახებ მიღებული ცოდნა. პირველ რიგში, გაეცანით სახელმძღვანელოს მეორე თავს და გადახედეთ ადამიანის უფლებებსა და მათ დასაცავად არსებულ მექანიზმებს.

ესება თუ არა საქმე ადამიანის უფლების დარღვევას? ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ადამიანებს უფლებათა ფართო სპექტრი გააჩნიათ, მათ შორის დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების უფლება, რომელსაც 24-ე მუხლი უზრუნველყოფს. 22-ე მუხლის თანახმად, „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება იყოს რეალიზებული ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, როგორც ეროვნულ დონეზე ისე საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ლირსების შენარჩუნების თავისუფალი განვითარებისათვის“. დეკლარაციის ფორმულირება საკმაოდ ფართოა და შესაძლოა ვიგულისხმოთ, რომ ადამიანს „საკუთარი პიროვნების განვითარების თავისუფლების“ ფარგლებში თითქმის ყველა პირადი სურვილის უფლება აქვს. შესაბამისად, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, გამოვლენილი საკითხი ნამდვილად ეკუთვნის თუ არა ადამიანის უფლებების სფეროს. სახელმძღვანელოს მეორე თავი შეიცავს ინფორმაციას იმ უფლებების შესახებ, რომლებიც ცალსახად აღქმული და დაცული უნდა იყოს, როგორც ადამიანის უფლებები.

ადამიანის უფლებების დაცვას არაერთი მექანიზმი თუ ორგანიზაცია უზრუნველყოფს. არსებობს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მექანიზმებიც, როგორებიცაა გაერო და ევროპული სასამართლო. პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულებს საშუალება აქვთ მიმართონ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს. ზოგჯერ დაზარალებულებს რესურსების ნაკლებობის, ასაკისა თუ გონებრივი შესაძლებლობების გამო საკუთარი თავის დაცვა არ ძალუდთ. ასეთ შემთხვევებში, მათი უფლებების დაცვას შესაძლოა სხვამ გაუწიოს ადვოკატირება.

განიხილეთ თქვენს მიერ შერჩეული საკითხი ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან. საამისოდ დაგჭირდებათ ცხრილი (იხ. ცხრილი №7 „ადამიანის უფლებები და საკვლევი თემა“. გვერდი 45). მეორე თავში მიღებული ცოდნა საშუალებას მოგცემთ დაადგინოთ, მართლაც აქვს თუ არა ადგილი ადამიანის უფლებების დარღვევას და შესაბამისი მექანიზმები დარღვევაზე რეაგირების მიზნით. ამის გაკეთება შესაძლებელია პიროვნებისათვის ან პიროვნებათა ჯგუფისათვის მიყენებული ზიანის ანალიზის საფუძველზე. მივუბრუნდეთ მაგალითს პარკირების არაადექვატურ პირობებთან დაკავშირებით. დაზარალებულ პირებს რა ზიანი მიადგათ? ზოგს პარკირების ადგილიდან საკმაო მანძილის გავლა უნდეს საცხოვრებელ ბინამდე მისაღწევად. პარკირების მოსახერხებელი პირობების ქონა მნიშვნელოვანია, თუმცა მოცემულ შემთხვევაზე ვერავინ იტყვის, რომ ადამიანის უფლებების დარღვევასთან გვაქვს საქმე. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაზარალებულმა პირებმა პრობლემის გამოსწორებაზე არ უნდა იზრუნონ. დემოკრატიული პროცესები მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად დაიკმაყოფილონ თავიანთი საჭიროებები და სურვილები. მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად მიეკუთვნება მოცემული საკითხი ადამიანის უფლებების სფეროს, რათა შესაბამისად განისაზღვროს პრობლემის სიმწვავე და გადაჭრის გზები. ამის მიღწევაში მიღებული ცოდნა დაგეხმარებათ.

## **საზეცური 5 – პრობლემის ანალიზი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პერსპექტივიდან**

სამოქალაქო საზოგადოება ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. მოქალაქეთა გაერთიანება საერთო მიზნების მისაღწევად რესურსების გაზიარების შესაძლებლობას გულისხმობს, რაც სამოქალაქო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს წარმატებით განახორციელონ ის, რასაც დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ. სამოქალაქო საზოგადოებას არაერთი როლი აკისრია. ზოგიერთი მათგანი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას ლობირებს, ნაწილი არსებული კანონების დაცვასა და აღსრულებას უწევს ადვოკატირებას. არსებობენ ისინიც, ვინც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და განათლებაზე ზრუნავს ან კონკრეტულ ქმედებებზე ორიენტირებული და მოცემული პრობლემის გადაწყვეტაზე პირადად მუშაობს. უფრო ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ორგანიზაციები შესაძლოა საზოგადოების ინტერესების დასაცავად ერთზე მეტ მიზანსაც ემსახურებოდნენ. მეხუთე საფეხურის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების როლის განხილვა არსებული პრობლემის მოგვარებაში.

ამ ეტაპზე დაგჭირდებათ არსებული სამოქალაქო საზოგადოების კვლევა და მოცემული პრობლემის დასაძლევად მათ მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედებების შესწავლა. კვლევის დროს იხელმძღვანელეთ იმ მინიშნებებითა და პრინციპებით, რომელთაც წინამდებარე სახელმძღვანელო გთავაზობთ წყაროს ანალიზისა და გამოკითხვების საწარმოებლად. აუცილებელია გახსოვდეთ, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებს გარკვეული მიზანი ამოძრავებთ და შესაბამისად, მათ უკვე გააჩნიათ კონკრეტული დამოკიდებულება საკვლევი თემის მიმართ. ეცადეთ, არსებული ორგანიზაციებისა და მათ მიერ წარმატებით განხორციელებული სამუშაოების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიძიოთ. მაგალითად, რამდენად ეფექტურად ეხმარება მოცემული ორგანიზაცია საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც იგი ემსახურება? რამდენად ეფექტურად თანამშრომლობს კანონმდებლებთან? შეუძლიათ თუ არა სახსრების მოძიება და ამ სახსრების წარმატებით მიმართვა პრობლემის გადასაჭრელად? ახორციელებენ თუ არა კამპანიებს საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად? რა სახის მომსახურეობას უწევენ საზოგადოებას, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილს, რომლისთვისაც მოცემული პრობლემა აქტუალურია? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დაგეხმარებათ დაადგინოთ, ახორციელებს თუ არა სამოქალაქოს საზოგადოება კონკრეტულ ღონისძიებებს პრობლემის გადასაჭრელად. თუ ახორციელებს, საშუალება გაქვთ ამ ორგანიზაციის მიერ განუუღ ძალისხმევას შეუერთდეთ. თუ არ ახორციელებს, თავად მოიფიქრეთ ის კონკრეტული ნაბიჯები, რომლის გადადგმაც სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. ამ პროცესში დაგეხმარებათ ცხრილი „სამოქალაქო საზოგადოება და თქვენი საკვლევი პრობლემა“. (იხ. ცხრილი №8. გვერდი 46).

მას შემდეგ, რაც დაასრულებთ კვლევას იმ ინიციატივების შესახებ, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება უკვე ახორციელებს, მოიფიქრეთ, როგორ და რა ფორმითაა შესაძლებელი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების გამოყენება პრობლემის მოგვარების პროცესში. შეგიძლიათ ამ ორგანიზაციის დაიწყოთ მუშაობა ან მოხალისეობა, ან საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაცია შექმნათ.

**საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა: გასათვალისწინებელი გარემოებები**

თუ ფიქრობთ, რომ სამოქალაქო საზოგადოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები არასაკმარისია, შეგიძლიათ საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნაზე იფიქროთ. ეს შესანიშნავი გზაა საზოგადოების სასიკეთო საქმის ერთობლივად კეთებისათვის. თუმცა, მანამდე

არაერთი გარემოება უნდა გაითვალისწინოთ. წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას ბევრი დრო და რესურსები ესაჭიროება. გაითვალისწინეთ შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- რა არის თქვენი არასამთავრობო ორგანიზაციის მიზნები? როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი?
- რაში მდგომარეობს სამიზნე საზოგადოების საჭიროებები? როგორი გზით გამოავლენს არასამთავრობო ორგანიზაცია ამ საჭიროებებს ან როგორ შექმნის ფორუმს, საზოგადოების მიერ საკუთარი საჭიროებების თავად გამოსახატავად?
- ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად რა სახის შესაძლებლობები და რესურსებია საჭირო?
- რა სახის ექსპერტული გამოცდილება გააჩნიათ თანამშრომლებს? თქვენი თანამშრომლები სრულ განაკვეთზე იმუშავებენ თუ ნახევარზე? ხელფასზე თუ მოხალისედ?
- როგორი იქნება დაფინანსების სტრატეგია? არასამთავრობო ორგანიზაციებს დაფინანსების რა წყაროებზე მიუწვდებათ ხელი? რომელი მათგანია ადგილობრივი? საერთაშორისო? როგორ მოიძიებთ სახსრებს მოკლევადიანი და გრძელვადიანი საქმიანობის დასაფინანსებლად?

საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნის დაგეგმვა კარგად გააზრებული პროცესი უნდა იყოს. დაიწყეთ ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემით. ამასთან, დაიმახსოვრეთ, რომ საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემების უმრავლესობა დიდი ხანია არსებობს და მას არაერთი კომპლექსური გამომწვევევი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოიჩინოთ მოთმინება და არ დაწებდეთ.

## საჭესური 6 – პრობლემის ანალიზი ცალკეული მოქალაქეების ჩართულობის პერსპექტივიდან

დემოკრატიულ საზოგადოებაში ცალკეულ პიროვნებებს საზოგადოების საკეთილდღეოდ შეუძლიათ თავისუფლად, საკუთარი ინიციატივით იმოქმედონ. ეს ჯანსაღი დემოკრატიული საზოგადოების შენარჩუნების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ცალკეული მოქალაქეების ჩართულობის ერთი კონკრეტული განსაზღვრება არ არსებობს, ვინაიდან აღნიშნული კონცეფცია მოქალაქეთა ქცევისა და მოქმედების ფართო სპექტრს აერთიანებს. ჩვენ მოვახდინეთ მათი კატეგორიზაცია სავარაუდო შედეგების მიხედვით. ქვემოთ მოყვანილ თითოეულ კატეგორიაში შეგიძლიათ გაეცნოთ შესაბამის მაგალითებსა და განმარტებებს.

სამოქალაქო ჩართულობის სახეობები

### 1. ჯგუფში მონაწილეობა

ცალკეულ პიროვნებებს შეუძლიათ შეუერთდნენ ამა თუ იმ ჯგუფს, რომელიც კონკრეტული საკითხის მოგვარებასა თუ ინტერესზე ზრუნავს. მაგალითად, საეკლესიო ჯგუფი ან რელიგიური ორგანიზაცია, სასკოლო ჯგუფი, სპორტული და გასართობი ასოციაცია, სამოქალაქო ასოციაციები და ადგილობრივი საზოგადოებრივი კლუბები. ჯგუფში მონაწილეობა სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მსგავსია. თუმცა, ამ შემთხვევაში, ყურადღება მახვილდება სამოქალაქო ჩართულობისთვის და პრობლემის მოსაგვარებლად ცალკეული პიროვნების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე და არა არასამთავრობო ორგანიზაციის ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ერთიან ძალისხმევაზე. კიდევ ერთი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი ჯგუფი მხოლოდ და მხოლოდ ერთ კონკრეტულ საზოგადოებასა თუ ინტერესს ემსახურება.

აშშ-ში არსებობს არაერთი ორგანიზაცია თუ კლუბი, სადაც საერთო ინტერესების მქონე პიროვნებებს შეუძლიათ გაერთიანდნენ და ადგილობრივ საზოგადოებას ემსახურონ. ერთ-ერთ მაგალითს ადგილობრივ მებაღეთა კლუბი წარმოადგენს, რომლის წევრებიც ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას მებაღეობის შესახებ და აგრეთვე, ისეთ პროექტებში იღებენ მონაწილეობას, როგორებიცაა ადგილობრივი საზოგადოების ბალებსა თუ პარკებში ნერგების დარგვა და მოვლა-პატრონობა. ასეთი ჯგუფი ხშირად არაფორმალური გაერთიანებაა, იერარქიისა თუ განვევრიანებასთან დაკავშირებული მოთხოვნილებების გარეშე. სხვა ორგანიზაციებს შესაძლოა უფრო ფორმალური სტრუქტურა და წევრობასთან დაკავშირებული პროცედურები გააჩნდეთ. მაგალითად, ზოგიერთ სამოქალაქო ორგანიზაციაში მხოლოდ მიწვეულ პიროვნებებს შეუძლიათ განვევრიანება. მოქმედებს საწევრო გადასახადი, ხოლო ორგანიზაციის წევრობა გარკვეულ მოვალეობებსაც გულისხმობს. ეს ორგანიზაციები წევრებისათვის არაერთ სოციალურ ღონისძიებას აწყობენ და საზოგადოების ინტერესებს ემსახურებიან საქველმოქმედო აქციების გამართვითა თუ შემონირულობების გაცემით, ან საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამების განხორციელებით.

არსებულ ჯგუფში მონაწილეობა ან ახალი ჯგუფის შექმნა საზოგადოების ინტერესების სამსახურს გულისხმობს. ასეთ ჯგუფებს საზოგადოების კეთილდღეობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ.

## 2. მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირებულობა

დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნებები ვალდებული არიან ინფორმირებულნი იყვნენ მიმდინარე მოვლენების შესახებ. ეს მათ საშუალებას აძლევთ, საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო ეფექტურად ჩატერთონ და განახორციელონ მთავრობის, ბიზნესის, ორგანიზაციებისა თუ პიროვნებების მონიტორინგი იმ პოტენციური საფრთხეების გამოსავლენად, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობას შეიძლება დამუქროს.

არსებობს ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა გზა: სატელევიზიო ახალი ამბები, გაზეთები, რადიო, ჟურნალები, ონლაინ რესურსები, ლექციები და დისკუსიები (მათ შორის ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორებიცაა ონლაინ ბლოგური ჩატები, Facebook საუბრები ან Twitter). სამოქალაქო აზროვნების მქონე პიროვნებები ზემოთ ჩამოთვლილ საშუალებებს კვირაში რამდენჯერმე მიმართავენ და მიმდინარე მოვლენებზე ინფორმირებულობა მათ პირდაპირ მოვალეობად მიაჩნიათ. დაიმახსოვრეთ, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია კრიტიკულად შეაფასოთ ახალი ამბების წყარო, ვინაიდან ისინიც კი შესაძლოა კონკრეტული მოსაზრების სასარგებლოდ იხრებოდნენ და ტენდენციურობას ამჟღავნებდნენ. ამ მიზნით, წყაროს შესაფასებლად იხელ-მძღვანელეთ ტენდენციურობის გამოსავლენ ცხრილში წარმოდგენილი პრინციპებით (იხ. ცხრილი №3 „ტენდენციურობის გამოვლენა“. გვერდი 41). ასევე, ეფექტურია ახალი ამბების რამდენიმე განსხვავებული წყაროდან მიღების სტრატეგიაც.

## 3. პოლიტიკური ინიციატივა

ხშირად სამოქალაქო მონაწილეობის მკაფიო ინდიკატორად არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობას ასახელებენ. თუმცა, ხმის მიცემა პოლიტიკური სამოქალაქო ჩართულობის მხოლოდ ერთ-ერთი მეთოდია. არსებობს კიდევ არაერთი მეთოდი. მაგალითად, პარტიისა თუ კანდიდატის მხარდაჭერა. არსებობს მხარდაჭერის გამოხატვის არაერთი გზა: სიმბოლიკიანი გულსაბნევები, მანქანის სტიკერები, რომლებზეც გამოსახულია კანდიდატის სახელი ან კამპანიის სლოგანი, პარტიის სასარგებლოდ ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით გამართულ ღონისძიებები.

ზე დასწრება ან ორგანიზებაში დახმარების გაწევა, საარჩევნო კამპანიის შემოწირულობები, სატელეფონო ზარების განხორციელება ან კარდაკარ ვიზიტები ამომრჩეველთა დასარწმუნებლად, რათა მათ კონკრეტული კანდიდატის სასარგებლოდ მისცენ ხმა. არჩევნებში მონაწილეობა საჯარო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ერთადერთ გზას არ წარმოადგენს. იგივე მიზნის მიღწევა შესაძლებელია პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვებითა და მისი პარლამენტის ან ადგილობრივი ხელისუფლებისთვის წარდგენით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტითა თუ საჯარო ღონისძიებებზე დასწრებით, ამა თუ იმ საკითხის შესახებ საკუთარი აზრის გამოსახატავად და მოქალაქეთა აქტიურობის სამოტივაციოდ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებით. არსებობს სხვა მეთოდებიც საჯარო მოხელეებამდე ხმის მისაწვდენად საპროტესტო დემონსტრაციებისა თუ სვლების ორგანიზება ან მათში მონაწილეობა. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეთ არჩევით თანამდებობის პირებზე, ვინაიდან ისინი უფრო მზად არიან, მოუსმინონ საზოგადოებას, რომელსაც ემსახურებიან. როგორც ხედავთ, მოქალაქებს მნიშვნელოვანი მონაწილეობის მიღება შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამისათვის მთავარია, მკაფიოდ გამოხატონ თავიანთი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. საერთო მიზნის მისაღწევად მოქალაქეთა ერთობლივი ძალისხმევის კარგი მაგალითია 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში.

#### 4. ეკონომიკური აქტივობა

მოქალაქებს გავლენის მოხდენა ეკონომიკაზე მიმართული აქტივობითაც შეუძლიათ. კერძოდ, კონკრეტული პროდუქტისა თუ სერვისის ბიუროტირებით ან შესყიდვით, რათა გამოხატონ საკუთარი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება მნარმოებლის ლირუბულებებისა თუ მუშაობის მიმართ. არსებობს მაგალითები, როდესაც მომხმარებლებმა მასობრივად უარი თქვეს კონკრეტული ბრენდის სამოსის ყიდვაზე მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ მისი წარმოება ხდება ისეთ სამუშაო პირობებში, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს. ასეთ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოგების დანაკარგის მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება, საზოგადოებისა და მომხმარებელთა ნდობის კვლავ მოსაპოვებლად იგი ხშირად საკუთარი ტაქტიკის შეცვლას ამჯობინებს.

#### 5. მოხალისეობა მომსახურების ან სხვა მიზნით

მოხალისეებს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სამსახურის გაწევა შეუძლიათ. მოხალისეობას შესაძლოა რეგულარული სახე ჰქონდეს და განხორციელდეს მაგალითად, კვირაში ერთხელ, ან ერთჯერადი ღონისძიების სახით.

ასეთ შემთხვევაში ადამიანები საკუთარ დროსა და ძალისხმევას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ახმარენ სხვების კეთილდღეობას ან კონკრეტული მიზნის მიღწევას. მოხალისეობით საზოგადოებისათვის აქტუალური არაერთი საკითხის გადაჭრაა შესაძლებელი. ამ კუთხით შეუზღუდავი საშუალებები არსებობს. მაგალითად, ხანდაზმულთა ან უსახლკაროთა თავშესაფრებში სამსახური, ობოლთა თავშესაფარში ბავშვებისთვის წიგნის კითხვა, პარკის დასუფთავებაში მონაწილეობის მიღება ან არჩევნების დაკვირვება. მოხალისეობის გაწევა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად (ასეთ შემთხვევაში, მოხალისეობის მსურველი პირდაპირ უკავშირდება მაგ. ობოლთა თავშესაფარს და თავის სამსახურს სთავაზობს), ისე ჯგუფურად (ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც ამ შემთხვევაში შესაბამის საჭიროებებს ავლენენ და ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სისტემებსა და ურთიერთობებს ამყარებენ). საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებზე ზრუნვის მიზნით მოხალისეობის გაწევა ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია, განურჩევლად მოხალისეობის მეთოდისა (დამოუკიდებლად თუ ორგანიზაციის საშუალებით) თუ სიხშირისა.

ამ პუნქტის ფარგლებში პრობლემის ცალკეული მოქალაქეების ჩართულობის კუთხიდან ანალიზის დროს, ალბათ აღმოაჩენ, რომ ინდივიდუალური ჩართულობის არაერთი საშუალება არსებობს. მნიშვნელოვანია, თითოეული საშუალება შეისწავლოთ და თქვენი დროის, რესურსებისა და მიზნების გათვალისწინებით ყველაზე შესაფერისი გამოავლინოთ. ამაში დაგეხმარებათ ცხრილი „ცალკეული მოქალაქეების ჩართულობა“ (იხ. ცხრილი №9. გვერდი 47).

## საჭერი 7 – სამოქმედო გეგმის შემუშავება

ამ ეტაპის ფარგლებში უნდა შეადგინოთ სამოქმედო გეგმა, რომელიც მიმართული იქნება გამოვლენილი პრობლემის მოგვარებაზე. როგორც უკვე დარწმუნდებოდით, საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების გადაჭრის არაერთი გზა არსებობს: ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობისა თუ ცალკეული მოქალაქეების ჩართულობის გზით. შესაფერისი გზა პრობლემის გადასაჭრელად უნდა შეირჩეს მისი თავისებურებიდან გამომდინარე. საამისოდ აუცილებელია გადახედოთ 3-6 საფეხურების ფარგლებში თქვენს მიერ განეულ სამუშაოებს და თითოეულ თემასთან დაკავშირებით თქვენს მიერ რეკომენდებულ ზომებს. ანალიზის საფუძველზე გამოავლინეთ ის კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა შეტანაც მიზანშენონილად მიგაჩნიათ სამოქმედო გეგმაში. შესაძლოა ამ პროცესში ახალი და განსხვავებული იდეებიც გაგიჩნდეთ. სამოქმედო გეგმაში შესაძლებელია მათი გამოყენებაც.

სამოქმედო გეგმის შედგენისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, თუ რა გავლენას იქონიებს თქვენს მიერ შერჩეული ღონისძიებები პრობლემის მოგვარებაზე. რაც არ უნდა მიმზიდველად უღერდეს ადვილად განხორციელებადი გეგმის შედგენა, პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოთ ის, თუ რამდენად რეალურ შედეგს გამოილებს თქვენს მიერ გეგმაში შესატანად შერჩეული ინიციატივები. ამაში დაგეხმარებათ ცხრილი „სამოქმედო გეგმის შემუშავება, ეტაპობრივი დაგეგმვა“ (იხ. ცხრილი №10. გვერდი 48).

## დაინტერესებული პირების იდენტიფიცირება და მათთან თანამშრომლობა

მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური აქტიურობა უაღრესად მნიშვნელოვანია, მდგრადი ცვლილება და პრობლემის გადაწყვეტა ერთზე მეტი ადამიანის ძალისხმევას საჭიროებს. დაფიქრდით, ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული თქვენს მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრით? ვისი დახმარებით შეგიძლიათ ისარგებლოთ დასახული მიზნის მისაღწევად? თქვენს ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით, ალბათ დამატებითი მხარდაჭერა დაგჭირდებათ. სამოქმედო გეგმის განხორციელებაში დახმარეთ ისინი, ვინც დაინტერესებულნი არიან პრობლემის გადაწყვეტით, იქნება ეს ცალკეული პიროვნება, თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთაც დიდი ოდენობით საჭირო რესურსები გააჩნიათ. ეცადეთ, მოძებნოთ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც უკვე მუშაობენ თქვენს მიერ გამოვლენილი ან მსგავსი პრობლემის გადაწყვეტაზე. მოიციქეთ, რით შეუძლია ამ ორგანიზაციას თქვენი დახმარება? მაგალითად, სტუდენტთა ჯგუფმა სამოქმედო პროექტის შედგენაზე მუშაობისას გამოავლინა დეფიბრილატორების გამოყენების არასაკმარისი ცოდნის პრობლემა. დეფიბრილატორი კი ის მოწყობილობაა, რომელსაც სწორად გამოყენების პირობებში ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია. სტუდენტებმა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად განახორციელეს ამ მოწყობილობის გამოსაყენებლად უფასო ტრენინგი. როგორც ხედავთ, სტუდენტებმა საკუთარ მიზანს მიაღწიეს ისეთი რესურსების მქონე ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რომელზედაც სტუდენტებს არ მოუწვდებოდათ ხელი.

როდესაც საქმე ეხება ხელისუფლების წარმომადგენლებსა და პოლიტიკის შემქმნელებს, მნიშვნელოვანია შეძლოთ იმის წარმოჩენა, რომ ხელისუფლების მიერ შესაბამისი ზომების მიღებას თავად საზოგადოება ითხოვს. შეაგროვეთ დაინტერესებული პირების ხელმოწერები პეტიციაზე, ხელისუფლების წარმომადგენლებს დაუკავშირდით ტელეფონით, ან გამართეთ მათთან შეხვედრები, დაესწარით დემონსტრაციებს, რომელიც მთავრობამდე საზოგადოების ხმის მიწვდენის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახეთ სტრატეგია დაინტერესებული მხარეების გამოსავლენად და მათი პოზიციების ხელისუფლების ყურადღებამდე მისატანად.

იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ინდივიდუალურ პირთა ქცევისა თუ შეხედულებების შეცვლას, მაგალითად, შშმ პირების წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინაცია, თქვენი სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შესაძლოა ითვალისწინებდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას დისკრიმინირებული პირების მიერ საზოგადოების განვითარებაში შეტანილ წვლილთან დაკავშირებით, მათი ტალანტების შესახებ, რაც შშმ პირების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებასა და დამოკიდებულების შეცვლას შეუწყობს ხელს.

### შეთავაზებული გეგმის ადვოკატირება

საზოგადოებაში ცვლილებების მოხდენა ხშირად საჭიროებს მოსახლეობის ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რატომ არის ცვლილებები მნიშვნელოვანი და საჭირო, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმე ეხება ინდივიდუალურ პირთა ქცევისა და შეხედულებების შეცვლას. სწორედ ამიტომ, თქვენი სამოქმედო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პრობლემის შესახებ სხვების ინფორმირებას. ამისათვის ჯეროვნად უნდა მოემზადოთ და გქონდეთ დამაჯერებელი არგუმენტი. ქვემოთ მოცემულია სასარგებლო სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც მოსამზადებელ ეტაპზე გამოგადგებათ:

- იპოვეთ გზა სამიზნე აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად. საწყისი მესივჯი მათი ემოციებისა და ინტელექტის გათვალისწინებით შეიმუშავეთ. ამ მიზნის მიღწევის სხვადასხვა გზა არსებობს, როგორებიცაა: მიმზიდველი გამოსახულებები, დასამახსოვრებელი სლოგანები ან რამდენიმე მყარი და დასაბუთებული ფაქტის პრეზენტაცია. დაიმახსოვრეთ, რომ ეს მხოლოდ შესავალი ეტაპია, რომლის მიზანსაც პრობლემის მიმართ აუდიტორიის ინტერესის გაღვივება წარმოადგენს;
- თქვენი გზავნილი უნდა იყოს ლაკონური. თუ ის წერილობითა, ეცადეთ, აზრი მაქსიმალურად მოკლედ ჩამოაყალიბოთ და მთავარ გზავნილს არ გადაუხვიოთ. თქვენმა ინფორმაციამ მკითხველს ინტერესი არ უნდა დააკარგვინოს. თუ ინფორმაციას ზეპირი ფორმით წარმოადგენთ, სათქმელი წინასწარ მოამზადეთ და ეცადეთ, რომ საუბრის დროს ძირითად გზავნილს არ გადაუხვიოთ;
- გამოიყენეთ ფაქტები, მონაცემები და მაგალითები. მათზე დაყრდნობით დაასაბუთეთ, რომ პრობლემა რეალურად არსებობს. ამასთან, მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს პრობლემის ჰუმანური მხრიდან წარმოჩენას. შესაბამისად, მზად იყავით კონკრეტული მაგალითები მოიყვანოთ იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს მოცემული პრობლემა ცალკეულ პირებსა თუ თემებზე;
- თქვენი მიზნები აუდიტორიას გაუზიარეთ. თუ თქვენ აუდიტორიის აქტიურობას მოელით, დააკარნეტეთ და განმარტეთ მათი ჩართულობის მნიშვნელობა;

- გზავნილი კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიას მოარგეთ. მაგალითად, უნივერსიტეტის სტუდენტებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას ერთი და იგივე დამოკიდებულება არ გამოგადგებათ. სტუდენტებთან კომუნიკაციაში შეგიძლიათ გამოიყენოთ იუმორი, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან სერიოზული და პროფესიული მიდგომა უნდა გამოიჩინოთ. ამასთან, კონკრეტულ აუდიტორიასთან პრობლემის ის ასპექტები უნდა განიხილოთ, რაც მათთვის ყველაზე მეტად აქტუალურია.

ცხრილი „სამოქმედო გეგმის ადვოკატირება“ (იხ. ცხრილი №11. გვერდი 49) დაგეხმარებათ თქვენი იდეების უკეთ ორგანიზებასა და სამოქმედო გეგმის სასარგებლოდ მხარდაჭერის მობილიზებაში.

ინფორმაციის გაზიარებისა და პრობლემის შესახებ სხვების ცნობიერების ამაღლების სხვა-დასხვა მეთოდიდან ყველაზე შესაფერისი ამოარჩიეთ:

- **პოსტერები, ლიფლეტები, სიახლეები:** ბეჭდური მასალა, რომელიც ფართო საზოგადოების ინფორმირებისთვის გამოიყენება. მიმზიდველი სათაურები, შესაბამისი ფაქტების პრეზენტაცია და მოკლე აღნერა იმისა, თუ კონკრეტულად რას ელით სამიზნე აუდიტორიისაგან;
- **დრამატული, არტისტული და მუსიკალური პრეზენტაციები:** ხელოვნება ხალხის ემოციებზე ზემოქმედების მოხდენის შესანიშნავი გზაა. იგი ერთდროულად სამიზნე აუდიტორიის ინფორმირებისა და გართობის საშუალებას წარმოადგენს. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ პიესის შექმნა, ხელოვნების ნიმუშის შექმნა და გამოფენა, ან კონცერტი, რაც საშუალებას მოგცემთ საზოგადოების ყურადღება მიიპყროთ და გაზარდოთ მათი ცნობიერება მოცემული პრობლემის შესახებ. ასეთი ღონისძიებები შეგიძლიათ ჩაატაროთ საქველმოქმედო აქციების სახით;
- **ლექციები ან საჯაროდ სიტყვით გამოსვლა:** თქვენი გზავნილი აუდიტორიამდე შეგიძლიათ მიიტანოთ ფორმალური ლექციის საშუალებით ან საჯარო ფორუმზე ინფორმაციის ზეპირი ფორმით გაზიარების გზით;
- **მედიასთან თანამშრომლობა:** საგაზირო სტატია საკმაოდ ეფექტური საშუალებაა საზოგადოების ინფორმირებისთვის და ყურადღების მისაპყრობად. ფართო აუდიტორიის ინფორმირებაში ადგილობრივი რადიო და სატელევიზიო სადგურებიც დაგეხმარებათ;
- **სოციალური მედია:** ვებგვერდის შექმნა ან ინფორმაციის სოციალური ქსელების (Facebook ან Twitter) საშუალებით გაზიარება. ეს განსაკუთრებით ეფექტური გზაა ახალგაზრდა აუდიტორიასთან საურთიერთოდ;
- **„ფლეშ მობის“ დადგმა:** შესანიშნავი საშუალებაა ყურადღების მისაპყრობად და პრობლემის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

საზოგადოების ინფორმირების პროცესში თქვენ ალბათ აღმოაჩენთ, რომ ყველაზე ეფექტური გზა ზემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე მეთოდის კომპინაციაა. მაგალითად, „ფლეშ მობის“ დროს მაყურებლებს შეგიძლიათ დაურიგოთ პროშურები ან ფლაიერები. სხვადასხვა მეთოდების კომპინირების კიდევ არაერთი გზა არსებობს. გამოიყენეთ ნებისმიერი მეთოდი, რომელიც ინფორმაციის გაზიარების საშუალებას მოგცემთ. მთავარია, წინასწარ საგულდაგულოდ მოემზადოთ (სამოქმედო გეგმის ადვოკატირების სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით) და დაგეგმილი აქტივობა შესაბამისი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების დაცვით განახორციელოთ.

## საზეპური 8 და 9 – ჯგუფური ნაშრომისა და პრეზენტაციის მომზადება და მართვა

ბოლო საფეხური ნაშრომისა და პრეზენტაციის მომზადებას და კლასის წინაშე წარდგენას გულისხმობს. ორივე მათგანში ასახული უნდა იყოს პრობლემა და უნდა აღნერდეს შერჩეულ სამოქმედო გეგმას. მინიჭებულოვანია, აუდიტორია დაარწმუნოთ იმაში, რომ პრობლემა რეალურად არსებობს. ამ მიზნით საუკეთესო გზაა კვლევის პროცესში დადგენილი ფაქტების, მონაცემებისა და კონკრეტული მაგალითების მოშველიება. ამასთან პრობლემა გარკვევით უნდა განმარტოთ, ვინაიდან აუდიტორიის ნაწილს შესაძლოა მასზე ინფორმაცია არ ჰქონდეს. ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოადგინეთ სამოქმედო გეგმა და განმარტეთ, თქვენმა ჯგუფმა ამ გეგმის განხორციელება რატომ გადაწყვიტა.

პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს თქვენი თანატოლების ინფორმირება პრობლემის შესახებ. პრეზენტაცია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ ელემენტს უნდა შეიცავდეს:

- განმარტეთ პრობლემა;
- შესაბამისი ფაქტების, მონაცემებისა და მაგალითების გამოყენებით აუდიტორია დაარწმუნეთ იმაში, რომ პრობლემა არსებობს;
- აღნერეთ პრობლემის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებული კვლევის მეთოდები. მაგალითად, გამოკითხვის შემთხვევაში აუდიტორიას მიაწოდეთ ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ;
- აღნერეთ თქვენი სამოქმედო გეგმა;
- განმარტეთ რის მიხედვით შეარჩიეთ კონკრეტული საქმიანობა;
- უპასუხეთ დასმულ კითხვებს.

ვინაიდან თქვენი პროექტის ერთ-ერთ მიზანს თქვენი თანატოლების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს, ინფორმაცია მათთვის საინტერესო კუთხით წარმოაჩინეთ. ამაში Power point-ის ფორმატის პრეზენტაცია დაგეხმარებათ. გაითვალისწინეთ შემდეგი მნიშვნელოვანი რჩევები:

- **უფრო ნაკლები უდრის მეტს, იყავით ლაკონური:** ტექსტის რაოდენობა თითოეულ სლაიდზე არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე ძირითად ფრაზასა თუ ფაქტს. დიდი მოცულობის ტექსტის შემთხვევაში, თქვენი მოსმენის ნაცვლად აუდიტორია მეტ დროს ამ ტექსტის კითხვას დაუთმობს;
- **სლაიდი** არ წარმოადგენს პრეზენტაციას. მასზე განთავსებული ინფორმაცია თქვენს ნათქვამს უნდა ასახავდეს, მაგრამ ზეპირი პრეზენტაცია არ უნდა ჩანაცვლოს. სლაიდები აუდიტორიის დასაინტერესებლად უნდა გამოიყენოთ, რათა მათ თქვენს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას ყურადღებით მოუსმინონ;
- **ფერი და ანიმაცია:** სლაიდებმა აუდიტორიის ყურადღება უნდა მიიქციონ. შესაბამისად, გამოიყენეთ ფერადი მასალები და ანიმაცია, მაგრამ ისე, რომ ამან მაყურებელთა ყურადღება არ გაფანტოს. ზედმეტად ფერადი სლაიდები და ანიმაციები აუდიტორიას ინფორმაციის აღქმის საშუალებას არ მისცემს და ინტერესს დააკარგვინებს. მსგავსი საშუალებები გამოიყენეთ ხელმომჭირნედ და მხოლოდ დაინტერესების მიზნით;

- სურათების გამოყენება:** ვიზუალური თვალსაჩინოება და გამოსახულებები აუდიტორიის ყურადღების მიპყრობის ეფექტური საშუალებაა. თუმცა, ზედმეტად კომპლექსური და დეტალიზებული გამოსახულებები, მაგალითად, მონაცემთა ცხრილი, აღსაქმელად გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს, რამაც შესაძლოა აუდიტორიის ყურადღების გაფანტვა გამოიწვიოს.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ესაუბრებით აუდიტორიას. ესაუბრეთ პირდაპირ, ხმამაღლა და გარკვევით, რათა მოგისმინონ. მსმენელებთან დაამყარეთ მხედველობითი კონტაქტი და ისაუბრეთ ისე, რომ ოთახის სხვადასხვა ნაწილში მსხდომმა ყველა სტუდენტმა პრეზენტაციის მონაწილედ იგრძნოს თავი. თუ პრეზენტაციის დროს დამხმარე მასალას იყენებთ, მუდამ ფურცლებში არ უნდა იყურებოდეთ, არამედ დროდადრო აუდიტორიასთან პირდაპირი კონტაქტი უნდა დაამყაროთ. აუდიტორიამ უნდა იგრძნოს, რომ თემა თქვენთვის მნიშვნელოვანია. ამ მიზნით გარკვეული დოზით დრამატიზმი გამოიყენეთ და ისაუბრეთ გრძნობით. თქვენი საუბრის ტემბრი არ უნდა იყოს მონოტონური, ნინააღმდეგ შემთხვევაში მსმენელებს დარჩებათ შთაბეჭდილება, რომ თქვენ განსახილველი საკითხი ნაკლებად გაინტერესებთ. შესაბამისად, არც თვითონ დაინტერესდებიან. პრეზენტაციის გამართვამდე ამ ყველაფერში ივარჯიშეთ, რაც დამაჯერებლად საუბარში დაგეხმარებათ.

## **საზოგადო 10 – მიღებული გამოცდილების შეფასება**

გამოცდილება გვაძლევს ცოდნას და ცვლის ჩვენს დამოკიდებულებას. ზოგჯერ ამას ვერც კი ვხვდებით, სანამ მიღებულ გამოცდილებას არ შევაფასებთ. სტუდენტური სამოქმედო პროექტი დაგეხმარებათ საკვლევი თემის შესახებ ბევრი ახალი ინფორმაციის შესწავლაში. პროექტის სხვადასხვა ეტაპზე ახალ უნარ-ჩვევებს განივითარებთ და ბოლოს, საზოგადოების სასიკეთო ცვლილებების მოსახდენად და დემოკრატიულ სისტემებში არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების გამოყენებას ისწავლით. პროექტის ბოლო ნაბიჯი ამ ყველაფრის შეფასებაში დაგეხმარებათ. ამ პროცესში მეგზურობას გაგიწევთ ცხრილი „მიღებული გამოცდილების შეფასება“ (იხ. ცხრილი №12, გვერდი 50).

## დანართი

### გოვეპრივი იერიში

#### N1. თემის შერჩევა სტუდენტთა სამოქმედო პროექტისთვის

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი დაგეხმარებათ იდეების ფორმირებაში, შერჩეული საკითხების სილ-რმისეულად შესწავლასა და სამოქმედო პროექტისთვის თემების შერჩევაში.

**სვეტი 1** - ჩამოწერეთ იდეები თემებთან დაკავშირებით;

**სვეტი 2 და 3** - რა სახის ინფორმაცია და რესურსები დაგჭირდებათ თითოეულ თემასთან და-კავშირებით კითხვებზე პასუხის გასაცემად და მის სილრმისეულად შესასწავლად? პასუხები გაუზიარეთ ერთმანეთს;

**სვეტი 4** - მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით განსაზღვრეთ თემის მნიშვნელობა და შეაფასეთ, ლირს თუ არა მისი შესწავლა სამოქმედო პროექტის ფარგლებში; მეოთხე სვეტში გაცემულ პასუხებზე დაყრდნობით, აირჩიეთ თემა, რომელიც თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

სვეტი 1	სვეტი 2	სვეტი 3	სვეტი 4
ჩამოწერეთ იდეები/თემები (შეასრულეთ გარეშე)	რა პითხვეპი გაძვი მოცემულ თემასთან დაკავშირებით	რა რესურსები გამოგადგენათ თემის უკათ შესრულებაში	შეაფასეთ მოცემული თემის მნიშვნელობა. ლირს თუ არა მისი შესწავლა სამოქმედო პროექტის ფარგლებში

საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ ხაზები

## N2. რესურსების იდენტიფიცირება

შესაძლო წყაროები. თითოვეული კატეგორიის ქვეა მიუთითოთ პოზიციური წყაროები, რომლებიც კვლევის პროცესში გამოგადგენათ	განვითარდეთ, როგორ გამოიყენოთ მოცემულ წყაროს საკვლევი თემის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად
ინტერენტი	
ოფიციალური მონაცემები	
კანონმდებლობა	
ეძსავერტები	
ახალი ამბების წყარო	
არასამთავრობო იურიდიზაციები	
დანენტივისებული პირები	
ფართო საზოგადოება	
სხვა	

### N3. ტენდენციურობის გამოვლენა

პითხება	პასუხი	აღინიშვნება ტენდენციურობის ნიშვნები? რატომ?
1. ინფორმაციის ცენტრის (ორგანიზაციის ან პიროვნების) მიზნები		
2. მონაცემების მიღებისა და ანალიზის მითოვები		
3. რამდენად კლურალისტურია ინფორმაცია?		
4. ვინ წარმოადგენს ინფორმაციის სამიზნო აუდიტორიას?		
ზემოაღნიშვნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უპასუხეთ პითხებებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად)		
• რით შეიძლება იყოს განვირობებული ტენდენციურობა?		
• ტენდენციურობის რა პოტენციალურ შეინიშვნება?		
• როგორ გამოვიყენო(თ) მიღებული ინფორმაცია?		
• დაგატევით, რა ინფორმაციის მოპოვებაა საჭირო?		

#### N4. მზადება გამოკითხვისთვის

გამოკითხვის ჩატარებამდე გარკვეული დრო მომზადებას უნდა დაუთმოთ, რათა შედეგები თქვენთვის რეალურად სასარგებლო იყოს. მომზადების პროცესში გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები და სახელმძღვანელო პრინციპები.

კითხვები:

1. რა წარმოადგენს თქვენი გამოკითხვის მიზანს? გამოკითხვის საფუძველზე რა სახის ინფორმაციის მიღება გსურთ? მიზნების წინასწარ განსაზღვრა სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ.
2. ვინ არის რესპონდენტი? თქვენს მიერ დასახელებული მიზნების გათვალისწინებით, ვისგან შეძლებთ მიიღოთ საჭირო ინფორმაცია?
  - ა. აპირებთ თუ არა შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, განმარტეთ.
  - ბ. აპირებთ თუ არა სტრატიფიკაციის მეთოდის გამოყენებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დაასახელეთ კონკრეტული ქვეკატეგორიები.
  - გ. ზემოაღნიშნული მეთოდების არ გამოყენება რა გავლენას იქონიებს გამოკითხვის შედეგებზე?
3. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრეთ, დაგჭირდებათ თუ არა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების გამოკითხვის მიზნით განსხვავებული კითხვარების შედგენა. მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა მასწავლებლებისა და მოსწავლეების გამოსაკითხად ერთი და იგივე კითხვარი გამოიყენოთ?
4. გულდასმით გაეცანით სახელმძღვანელო პრინციპებს და თქვენი მიზნების გათვალისწინებით დაიწყეთ კითხვების შედგენა.
  - ა. რამდენად აკმაყოფილებს თქვენს მიერ შემუშავებული კითხვები სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნებს?
  - ბ. რამდენად გეხმარებათ კითხვები საჭირო ინფორმაციის მოპოვებასა და დასახული მიზნების მიღწევაში?
  - გ. რომელიმე კითხვა ზედმეტი ხომ არ გეჩვენებათ?
5. როგორ განახორციელებთ გამოკითხვას? გაითვალისწინეთ სხვადასხვა მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების გამოყენების, ასევე წერითი და ზეპირი გამოკითხვების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

## N5. მზადება გასაუბრებისთვის

გასაუბრების ჩატარებამდე გარკვეული დრო მომზადებას უნდა დაუთმოთ, რათა შედეგები თქვენთვის რეალურად სასარგებლო იყოს. მომზადების პროცესში გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები და სახელმძღვანელო პრინციპები.

კითხვები:

1. რა არის გასაუბრების მიზანი? რა სახის ინფორმაციის მიღება გსურთ? მიზნების წინასწარ განსაზღვრა სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ.
2. ვინ არის რესპონდენტი? თქვენს მიერ დასახელებული მიზნების გათვალისწინებით, ვისგან შეძლებთ მიიღოთ საჭირო ინფორმაცია? თვლით, რომ რესპონდენტები განსხვავებული კატეგორიის ადამიანებს (მაგ. ექსპერტები, ადამიანები, ვისთვისაც მოცემული პრობლემა აქტუალურია, მათი მეგობრები, ოჯახის წევრები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები) უნდა წარმოადგენდნენ? თითოეული მათგანი თქვენს კვლევას განსხვავებულ პერსპექტივას შესძენს. ჩამოწერეთ სასურველი რესპონდენტები და მოიფიქრეთ, როგორ დაუკავშირდეთ მათ თანამშრომლობისთვის.
3. გადახედეთ სასურველ რესპონდენტთა სიას და მოიფიქრეთ, თითოეული მათგანი თქვენს კვლევას რა სახის განსხვავებულ პერსპექტივას შესძენს.
4. 1,2 და 3 კითხვებზე თქვენს მიერ გაცემული პასუხების მიხედვით განსაზღვრეთ გასაუბრების ფორმატი და კითხვები. მოემზადეთ გასაუბრებისთვის სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებით.
5. გადახედეთ თქვენს გეგმასა და კითხვებს. რამდენად დაგეხმარებათ ეს საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და მიზნების მიღწევაში?
6. როგორ ჩაიწერთ გასაუბრების დროს მიღებულ ინფორმაციას?

## N6. მთავრობის როლი და თქვენი საკულტურული თემა

1. რა კონკრეტული პასუხისმგებლობები აკისრია საქართველოს ხელისუფლებას თქვენს მიერ გამოვლენილი პრობლემის მოგვარების მიმართულებით?

ა) დაასახელეთ საქართველოს კონსტიტუციის ის ასპექტები, რომელიც თქვენს საკულტურული თემასა და ხალხის წინაშე ხელისუფლების შესაბამის მოვალეობებს უკავშირდება. მოიყვანეთ კონკრეტული მუხლი.

ბ) დაასახელეთ კანონმდებლობა, რომელიც თქვენს მიერ გამოვლენილი პრობლემის მოსაგვარებლად ხელისუფლების პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს.

2. პრობლემის შესახებ განხორციელებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, როგორ ფიქრობთ, არსებობს საკმარისი სამართლებრივი საფუძველი ხელისუფლების მიერ მოცემული პრობლემის გადასაჭრელად? დადებითი პასუხის შემთხვევაში, უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს:

ა) დაასახელეთ კონკრეტული კანონი ან საკონსტიტუციო დებულება

ბ) როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, რატომ ვერ მოხერხდა პრობლემის აღმოფხვრა?

3. როგორ ფიქრობთ, დამატებით რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო? კითხვაზე პასუხის გასაცემად შესაძლოა დამატებითი კვლევის განხორციელება დაგჭირდეთ. შემდეგ უპასუხეთ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს:

ა) ფიქრობთ, რომ პრობლემა კანონის აღსრულებაში მდგომარეობს? რატომ?

ბ) ფიქრობთ, რომ არსებულ კანონმდებლობაში საჭიროა ცვლილებების განხორციელება? განმარტეთ.

გ) ფიქრობთ, რომ ახალი კანონმდებლობის მიღებაა საჭირო? თუ კი, რას უნდა ითვალისწინებდეს ახალი კანონმდებლობა?

4. როგორ ფიქრობთ, პრობლემის გადასაჭრელად რა უნდა მოიმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ?

## N7. ადამიანის უფლებები და საკვლევი თემა

1. გადახედეთ საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებულ გარემოებებს. რა ზიანს აყენებს ის საზოგადოების ნაწილს?
2. გააანალიზეთ მიყენებული ზიანი (იხ. კითხვა 1) ადამიანის უფლებების შესახებ მიღებული ცოდნის საფუძველზე. ჩამონერეთ ის ადამიანის უფლებები (მიუთითეთ შესაბამისი კანონი, შე-თანხმება თუ კონვენცია), რომელთა დარღვევასაც თქვენი აზრით აქვს ადგილი (თუ გაარკვევთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ადამიანის უფლების დარღვევას არ აქვს ადგილი, მესამე და მეოთხე კითხვებს შეგიძლიათ, არ უპასუხოთ).
3. ადამიანის უფლებების მოცემულ დარღვევაზე რეაგირების რა მექანიზმები არსებობს? სათი-თაოდ ჩამოწერეთ შესაბამისი ადამიანის უფლებები და მექანიზმები.
4. თქვენს მიერ გამოვლენილი ადამიანის უფლების დარღვევასთან მიმართებით, ამ ეტაპზე რა სახის შემდგომი რეაგირება მიგაჩნიათ მიზანშენონილად?

## N8. სამოქალაქო საზოგადოება და თქვენი საკულტური პრობლემა

რომელი საზოგადოებრივი ორგანიზაციები მუშაობენ თქვენს მიერ გამოვლენილ პრობლემაზე?

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩაწერეთ ამ ორგანიზაციების სახელები. მათ შესახებ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შეავსეთ დანარჩენი გრაფიკიც.

ორგანიზაციის დასახელება	პროგლემის გადასაზრდებად მიღებული ზომები	რამდენად ნარჩატვებით აღწევს ეს ორგანიზაცია დასახულ მიზნებს?	ჩვენი მიზნების მისაღწევად რამდენად მიზანმიზნილია ამ ორგანიზაციის თანამშრომლობა?

ზემოაღნიშნულ პასუხებსა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, როგორ ფიქრობთ, რა კონკრეტული ინიციატივების განხორციელება შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით მოცემული პრობლემის გადასაჭრელად?

## N9. ცალკეული მოქალაქების ჩართულობა

გადახედეთ სამოქალაქო ჩართულობის მეთოდებს და თქვენი საკვლევი თემა ამ მეთოდების ჭრილში განიხილეთ. გააანალიზეთ შესაძლებლობები და განსაზღვრეთ, ყველაზე უკეთ რომელი დაგეხმარებათ მიზნის მიღწევაში. ანალიზის დროს გაითვალისწინეთ შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- რა გზით შეიძლება მდგრადი ცვლილების განხორციელება და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება?

- თქვენს ხელთ არსებული რესურსების (დრო, სახსრები, ადამიანური რესურსები) გათვალისწინებით, რომელი მეთოდის გამოყენება მიგანიათ ყველაზე რეალურად?

სამოქალაქო ჩართულობის სახეობები	როგორ გამოვიყენოთ მოცემული მეთოდი საპოლიტ პოლიტიკაზე რეაგირების მიზნით?	რა დადეგითი მხარეები აძვს მოცემული მეთოდის გამოყენებას?	რა უარყოფითი მხარეები აძვს მოცემული მეთოდის გამოყენებას?
პრაცედური მონაცემები			
მიმღინარი მოვლენების შესახებ იცვლორმილებულობა			
პოლიტიკური ინიციატივა			
ეკონომიკური მიმღებელობის ქმედება			
მოხალისეობა			

მეთოდის გამოყენების შესაძლებლობების განხილვის, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასების შემდეგ განსაზღვრეთ, რომელი მეთოდია თქვენთვის ყველაზე შესაფერისი.

## N10. სამოქმედო გეგმის შემუშავება, ეტაპობრივი დაგეგმვა

სანამ რაიმეს მომოქმედებდეთ, განსაზღვრეთ თქვენი მიზნები საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში. პრობლემა შესაძლოა იყოს დიდი და კომპლექსური. შესაბამისად, ერთი სამოქმედო გეგმა არ იქნება საკმარისი ამ პრობლემის სრულად აღმოსაფხვრელად. ამავდროულად, თქვენს მიერ იდენტიფიცირებული მიზნები მოცემული პრობლემის ასპექტებითან პირდაპირ კავშირში უნდა იყოს.

1. პრობლემის კონკრეტული ასპექტების განსაზღვრის მიზნით, პირველ რიგში, ჩამოწერეთ კვლევის პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხები.
2. გადახედეთ გამოვლენილ საკითხებს და მოიფიქრეთ, სამოქმედო გეგმის ფარგლებში რომელი მათგანის გათვალისწინება გსურთ.
3. დასახეთ კონკრეტული მიზნები სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელი საკითხების მიხედვით. ეს მიზნები გარკვევით უნდა ასახავდეს ცვლილებას, რომლის განხორციელებასაც ეს-ნრაფვით. რაც უფრო კონკრეტულია მიზანი, მით უფრო ადვილია მის მისაღწევად შესაბამისი გეგმის დასახვა.
4. გადახედეთ 3-6 საფეხურების ფარგლებში თქვენს მიერ განეულ სამუშაოებს. თითოეული მათგანის ფარგლებში მოიფიქრეთ კონკრეტული ზომები მოცემული პრობლემის გადასაჭრელად.
  - ყველაზე უკეთ რომელი მათგანი შეესაბამება თქვენს მიერ დასახულ მიზნებს (იხ. კითხვა მესამე)?
  - შეიცვალა თუ არა თქვენი წარმოდგენა განსახორციელებელ ზომებთან დაკავშირებით? თუ შეიცვალა, განმარტეთ, როგორ?
5. რა რესურსები დაგჭირდებათ თქვენს მიერ ზემოთ განსაზღვრული (იხ. კითხვა მეოთხე) ქმედებების განსახორციელებლად? დააკონკრეტეთ საჭირო ფინანსური რესურსები, დრო და ადამიანური რესურსები. მნიშვნელოვანია, თქვენს ხელთ არსებული რესურსები რეალისტურად შეაფასოთ. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო რესურსები არ აღმოგაჩნდათ, მოიფიქრეთ, რა ზომებს მიმართავთ დამატებითი რესურსების მოსაძიებლად. მაგალითად, შემოწირულობების შეგროვება, არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და შესაბამისად, მათი რესურსებით სარგებლობა.
6. განსაზღვრეთ კონკრეტული, დროში განერილი ქმედებები სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად. მაგალითად, განსაზღვრეთ სად და როგორ მოაწყოთ ხელისუფლების წარმომადგენელთან შეხვედრა. ზოგჯერ ხელსაყრელი შემთხვევა მოულოდნელად ჩნდება. დაგეგმვის პროცესში ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ. წინასწარ დაგეგმვა საშუალებას მოგცემთ, დაუფიქრდეთ განსახორციელებელ ქმედებებს და მოახდინოთ მათი ორგანიზება. თუმცა გახსოვთ, რომ ცვლილებების შეტანა სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესშიც შეგეძლებათ.
7. სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია ჯგუფის წევრებს ჰქონდეთ განაწილებული პასუხისმგებლობები და კონკრეტული დავალებები.

## N11. სამოქმედო გეგმის აღვოკატირება

1. პირველ რიგში, განსაზღვრეთ თქვენი სამიზნე აუდიტორია და ის, თუ რისი მიღწევა გსურთ მათთვის ინფორმაციის გაზიარებით. დაიხმარეთ ქვემოთ მოყვანილი კითხვები:

ვინ არის თქვენი აუდიტორია?

რა მიზნით უზიარებთ ინფორმაციას აუდიტორიას?

რა კონკრეტული ქმედებების განხორციელებას ითხოვთ აუდიტორიისაგან?

რამდენად აქტუალურია მოცემული პრობლემა აუდიტორიისათვის?

2. წინასწარ მოიფიქრეთ, აუდიტორიას კონკრეტულად რა სახის ინფორმაცია დააინტერესებს, დაიხმარეთ ქვემოთ მოყვანილი კითხვები:

როგორ ფიქრობთ, აუდიტორიისათვის რა სახის მონაცემები და ფაქტებია მნიშვნელოვანი?

რა კონკრეტული მაგალითებით დააინტერესებთ აუდიტორიას?

3. განსაზღვრეთ მეთოდები აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად და თქვენი სამოქმედო გეგმის სასარგებლოდ მათი მხარდაჭერის მობილიზებისათვის. დაიხმარეთ ქვემოთ მოყვანილი კითხვები:

აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად ყველაზე მეტად რა მეთოდები გა-  
მოგადგებათ?

გაქვთ თუ არა საჭირო რესურსები ამ მეთოდის პრაქტიკაში განსახორციელებ-  
ლად? რა სახის რესურსები დაგჭირდებათ?

4. განსაზღვრეთ როდის, სად და ვის გაუზიარებთ ინფორმაციას. შეადგინეთ შესაბამისი გეგმა.

## N12. მიღებული გამოცდილების შეფასება

გაიხსენეთ სასწავლო კურსის დაწყების პერიოდი. რა წარმოდგენა გქონდათ დემოკრატიულ სისტემაში საზოგადოებისათვის სასიკეთო ცვლილებების მოხდენასა და ამ პროცესში თქვენს მონაწილეობასთან დაკავშირებით? კურსის მიმდინარეობისას რამდენად შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება? რატომ? თუ კურსის დასაწყისში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული დამოკიდებულება არ გაგაჩნდათ, შეაფასეთ მიღებული გამოცდილება და ის, თუ რა გავლენა იქონია მან თქვენზე. დაიხმარეთ ქვემოთ მოყვანილი კითხვები.

1. შეიცვალა თქვენი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი გეკისრებათ საზოგადოებაში?

რა მხრივ შეიცვალა?

რის საფუძველზე შეიცვალა?

თუ არ შეცვლილა, როგორ ფიქრობთ, რატომ?

2. რამდენად შეიცვალა თქვენი წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე?

თქვენს თავში რა დადებითი თვისებები აღმოაჩინეთ?

თქვენს თავში რა თვისებები აღმოაჩინეთ, რომლის შეცვლაც გსურთ?

3. რა ისწავლეთ საზოგადოებისთვის სასიკეთო ცვლილების განხორციელების პროცესებთან დაკავშირებით?

4. მიღებულ გამოცდილებას ცხოვრებაში როგორ გამოიყენებთ?

5. დამატებით, დაასახელეთ მიღებული გამოცდილების თქვენთვის საინტერესო ასპექტები.

## ტერმინთა განვითარება

**საზოგადოებრივი პრობლემა:** პრობლემა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს პიროვნებაზე ან საზოგადოების წევრებზე და იწვევს სირთულეებს.

**სამოქალაქო მონაწილეობა:** საზოგადოებაში ცვლილების მოხდენისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული საქმიანობა, როგორც პოლიტიკური ისე არაპოლიტიკური პროცესების საშუალებით.

**პეტიცია:** ფორმალური წერილობითი თხოვნა. ადრესატს თანამდებობის პირი ან ორგანიზაცია წარმოადგენს, რომელსაც ამ პეტიციის დაკმაყოფილების უფლებამოსილება გააჩნია.

**რესურსები:** ინფორმაციის ან ექსპერტული მოსაზრების წყარო, რომლის საშუალებითაც ხდება მოსაზრების გამყარება ან ინფორმაციის მიღება. რესურსები შეიძლება იყოს ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი.

**რელევანტურობა:** რაიმესთან პირდაპირ კავშირში ყოფნა, რაიმესთვის მნიშვნელობის ქონა.

**პროფესიული ეთიკა:** ზნეობის ნორმები პროფესიაში.

**ვალიდაცია:** დადასტურება, რომ რაიმე ჭეშმარიტია და სწორი.

**არაპროფესიონალი:** ადამიანი, რომელსაც მოცემული თემის სპეციალიზებული ან პროფესიული ცოდნა არ გააჩნია.

**ეპიზოდური ინფორმაცია:** ინფორმაცია, რომელიც ეყრდნობა პირად გამოცდილებას და არა ფაქტებს ან კვლევას.

**სანდოობა:** ის, თუ რამდენად სანდო ან დამაჯერებელია მოცემული ინფორმაცია.

**ტენდენციურობა:** მიკერძოებულობა, რაც ხელს უშლის საკითხის ობიექტურად განხილვას.

**ლობირება:** სხვების, განსაკუთრებით კი საჯარო მოხელეების გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მცდელობა, მათ შორის საკანონმდებლო პროცესში ამა თუ იმ საკანონმდებლო წინადადების მიღების მიზნით.

**ადვოკატირება:** რამე საკითხის მხარდაჭერა, როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, საზოგადოებისთვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისთვის.

**მიზანი:** ძალისხმევის შედეგი ან მიღწეული წარმატება, სასურველი საბოლოო შედეგი.

**გადახრა:** მონაცემების დამახინჯება, არასწორად ასახვა.

**კრიტიკული დამოკიდებულება:** რამეს გულდასმით, ზედმიწევნით შეფასება და განსჯა.

**წყაროს დოკუმენტირება:** ინფორმაციის წარმომავლობის მითითება.

**გამოკითხვა:** ინფორმაციის ან მონაცემების მიღება კითხვების საფუძველზე, შემდგომი ანალიზის მიზნით.

**შერჩევა პოპულაციიდან:** პოპულაციის მცირე ნაწილი, რომელიც კვლევის მიზნებისთვის შეირჩა.

**სტრატიუგიკაცია:** ადამიანების დაყოფა კლასებად ან სოციალურ ჯგუფებად.

**ლია (სწრაფი) გამოკითხვა:** აღრიცხავს რესპონდენტთა ხმებსა თუ მოსაზრებებს.

**სტრუქტურული გასაუბრება:** გასაუბრების წინასწარ განსაზღვრული ფორმატი, წინასწარ მომზადებული კითხვებით. რესპონდენტებს უსვამენ ერთსა და იმავე კითხვებს, ერთგვარი თანმიმდევრობით.

**არასტრუქტურული გასაუბრება:** გასაუბრება წინასწარ განსაზღვრული ფორმატის გარეშე. შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი კითხვის წინასწარ მომზადება. დანარჩენი კითხვების დასმა კი ხდება ინდივიდუალურად, გასაუბრების მიმდინარეობის შესაბამისად.

**კოდირება:** კლასიფიკაციის მიზნით კოდის მინიჭება. სოციალურ მეცნიერებათა კვლევის პროცესში კოდირება გამოიყენება ინფორმაციის ანალიზის მიზნით კლასიფირებისთვის.

**დახურული შეკითხვა:** შეკითხვის ტიპი, რომელსაც თან ახლავს პასუხის შესაძლო ვარიანტების სია.

**ლია შეკითხვა:** კითხვის ტიპი, რომელიც არ სთავაზობს რესპონდენტებს პასუხის შესაძლო ვარიანტებს. რესპონდენტებს შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ უპასუხონ კითხვას.

მიზეზობრივი კავშირი: როდესაც ერთი მოვლენა (რეზულტატი) მეორე მოვლენის (გამომწვევი მიზეზი) შედეგად მიიჩნევა, ამ ორ მოვლენას შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს.

**ცვლადი აქტორი:** აქტორი, რომელიც იცვლის მნიშვნელობას სხვადასხვა ობიექტის, პიროვნებისა თუ ჯგუფის მიხედვით (მაგ. შემოსავალი ან ასაკი).